პერსონალურ მონაცემთა
დაცვის სამსახური

შეზღუდული შესაძლებლობების მქონე (შშმ) პირთა პერსონალური მონაცემების დაცვა

(აკრძალული და ნებადართული)

სარჩევი

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის წინასიტყვაობა..... 2

შესავალი..... 4

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი (ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო) 6

1.1. ზოგადი მიმოხილვა 6

1.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების ეროვნული მოწესრიგება 6

1.2.1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი 6

1.2.2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი 8

1.3. საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ..... 10

1.3.1. გაერთიანებული ერების კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ 10

1.3.2. ევროპის საბჭოს სამართლებრივი მექანიზმები შშმ პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ..... 11

1.3.3. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ (“ ღ ”) განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების კონტექსტში 13

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკა შშმ პირთა მონაცემების დამუშავების კანონიერების შესახებ..... 19

2.1. შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება გეგმური ინსპექტირების ფარგლებში 19

2.2. შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება კერძო სექტორში 26

2.3. შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება საჯარო სექტორში..... 27

2.4. შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება სამართალდამცავი ორგანოების მიერ 35

2.5. გამოწვევები შშმ პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებაში 38

3. შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საერთაშორისო პრაქტიკა ... 41

3.1. საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის მიმოხილვა 41

3.1.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა 41

3.1.2. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა 45

3.2. საზღვარგარეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკა 47

3.3. ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების საერთაშორისო ინსტიტუციური ტენდენციები და სიახლეები 54

დასკვნა 63

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის წინასიტყვაობა

წარმოგიდგენთ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების სფეროში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შემუშავებულ ნაშრომს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვა (თეორია და პრაქტიკა)“.

ნაშრომის მიზანია საქართველოს კონსტიტუციის მე-11 მუხლის მე-4 პუნქტის (სახელმწიფო ქმნის განსაკუთრებულ პირობებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზებისათვის), გაერთიანებული ერების „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენციისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული მოთხოვნების შესასრულებლად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ განხორციელებული აქტივობების პრაქტიკული და თეორიული ასპექტების ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა.

საქართველოს მიერ 2014 წელს, გაერთიანებული ერების „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების“ კონვენციის რატიფიკაციით, აღიარებული იქნა შშმ პირთა დაცვის საერთაშორისო სტანდარტები და ვალდებულებები - ხელი შეუწყოს და უზრუნველყოს შშმ პირთა უფლებების დაცვას საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით.

კონვენციით ნაკისრი ვალდებულებებისა და პრინციპების ეროვნულ კანონმდებლობაში იმპლემენტაციის მიზნით, 2020 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ მნიშვნელოვნად უზრუნველყოფს შშმ პირთა გარანტიებს ეროვნულ დონეზე, მათი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზებას, პიროვნული ღირსების ჯეროვან დაცულობას ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმებისა და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად.

ნაშრომში ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ნორმების ჭრილში განხილულია ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, რომლებიც, სენსიტიური ბუნებიდან გამომდინარე, დამუშავებისას საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას.

ამასთან, ნაშრომში წარმოდგენილია კერძო, საჯარო სექტორსა და სამართალდამცავ ორგანოებში გეგმური და არაგეგმური ინსპექტირების ფარგლებში პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს, ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოსა და საზღვარგარეთის პერსონალურ მონაცემთა საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკა.

განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავებისას დამუშავებისათვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები ვალდებულნი არიან განსაკუთრებული სიფრთხილით მოეკიდონ შშმ პირთა უფლებებს და გადაწყვეტილების მიღებისას გაითვალისწინონ მათი საუკეთესო ინტერესები.

ვფიქრობ, ნაშრომი ხელს შეუწყობს საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და აღნიშნულის საფუძველზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლების დაცვის სტანდარტის ამაღლებას.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი,

ბარსელონის ავტონომიური უნივერსიტეტის მოწვეული პროფესორი,

ლელა ჯანაშვილი

შესავალი

საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მონაცემთა სუბიექტთა უფლებების დაცვა სულ უფრო მეტ აქტუალობას იძენს. მონაცემთა სუბიექტების უფლებათა დაცვის სათანადო გარანტიების უზრუნველყოფა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის საკითხები, როგორც წესი, განიხილება ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების ფარგლებში და მიეკუთვნება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემად მიიჩნევა მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური მონაცემები, აგრეთვე, მისთვის სამედიცინო მომსახურების გაწევის თაობაზე ინფორმაცია, თუ იგი მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური ან ფსიქიკური ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციას წარმოაჩენს.[1] აღსანიშნავია, რომ ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“[2] მიხედვით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები ნიშნავს მონაცემებს, რომლებიც დაკავშირებულია ფიზიკური პირის ფიზიკურ ან გონებრივ/ფსიქიკურ ჯანმრთელობასთან, მათ შორის, ჯანდაცვის მომსახურების მიწოდებასთან, რაც ავლენს მისი ჯანმრთელობის მდგომარეობას. ძირითადი რეგულაციის თანახმად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები უნდა მოიცავდეს მონაცემთა სუბიექტის ჯანმრთელობის მდგომარეობის ამსახველ ყველა მონაცემს, რომლებიც შეიცავს ინფორმაციას მისი ფიზიკური ან სულიერი ჯანმრთელობის წარსული, ამჟამინდელი და მომავალი მდგომარეობის შესახებ.

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა, მათი მოწყვლადობის გათვალისწინებით, პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან დაკავშირებული საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების შესწავლა და მათი ეროვნულ კანონმდებლობასთან შესაბამისობა. მათ შორის, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების

[1] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 14/06/2023, მე-3 მუხლის „გ“ პუნქტი.
[2] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation), Art. 4(15).

ვალდებულებების განხილვა. ნაშრომში წარმოდგენილია შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკა, საერთაშორისო სასამართლოებისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების გადაწყვეტილებები და ამ მიმართულებით განხორციელებული ინსტიტუციური სიახლეები.

წარმოდგენილი ნაშრომი სარეკომენდაციო ხასიათისაა, შესაბამისად, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური იტოვებს შესაძლებლობას, რომ, ცალკეულ საქმეთა ინდივიდუალური გარემოებების გათვალისწინებით, საკითხები წარმოდგენილი მოსაზრებებისგან განსხვავებულად გადაწყვიტოს. ამასთანავე, კვლევაში წარმოდგენილი პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკა, რიგ შემთხვევაში, ეყრდნობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 2011 წლის რედაქციას.

1. ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, როგორც განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი (ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო)

1.1. ზოგადი მიმოხილვა

ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური მონაცემი განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემია. მასში მოიაზრება მონაცემთა სუბიექტის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, რაც ხასიათდება სენსიტიური ბუნებით. ამგვარი ინფორმაციის არამართლზომიერმა დამუშავებამ, შეიძლება, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტის უფლებებსა და თავისუფლებებს.

შესაბამისად, არსებითად მნიშვნელოვანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ეროვნული და საერთაშორისო კანონმდებლობით დადგენილი სტანდარტების გათვალისწინება. წინამდებარე თავის ფარგლებში განხილული იქნება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების ეროვნული და საერთაშორისო სტანდარტები.

1.2. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების ეროვნული მოწესრიგება

1.2.1. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების მომწესრიგებელი ძირითადი აქტია **საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“.**[3] კანონის თანახმად, სახელმწიფო ხელს უწყობს შეზღუდული

[3] საქართველოს კანონი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ, 14.07.2020, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4923984?publication=2> [23.06.2024]. ასევე, იხ.: *შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არსებითი მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში*, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების პარტნიორობის მრავალპარტნიორული ნდობის ფონდი, 2023; *გაერთიანებული ერების შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენცია*, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და

შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების რეალიზებას და უზრუნველყოფს მათი პიროვნული ღირსების დაცულობას, რა დროსაც იგი მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებების, საერთაშორისო სამართლით გათვალისწინებული ნორმებისა და საქართველოს საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტების შესაბამისად. პირველი მუხლი განსაზღვრავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის დისკრიმინაციის გარეშე და სხვებთან თანაბარ პირობებში დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობის ხელმისაწვდომობის ძირითად პრინციპებსა და მექანიზმებს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი განიმარტება, როგორც „პირი მყარი ფიზიკური, ფსიქიკური, ინტელექტუალური ან სენსორული დარღვევით, რომლის სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა, ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ამ პირის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში“.[4]

აღსანიშნავია, რომ კანონი უზრუნველყოფს მათ დამოუკიდებელ ცხოვრებას. ამასთანავე, სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებას წარმოადგენს, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა და საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში მისი სრულყოფილი მონაწილეობა სხვებთან თანასწორად, აგრეთვე სხვადასხვა სახის მხარდამჭერი მომსახურების და საზოგადოებრივი სარგებლობის ობიექტების, ასევე, კომუნიკაციის საშუალებების ხელმისაწვდომობა, რაც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი სრულყოფილი მონაწილეობისათვის აუცილებელია.[5]

კანონი, ასევე, აყალიბებს შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების სტანდარტს. კერძოდ, აღნიშნულია, რომ შშმ პირთა პერსონალური მონაცემები უნდა დამუშავდეს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად. ამავდროულად, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, მისთვის საქართველოს კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებისას, უფლებამოსილია, დაამუშაოს შეზღუდული

გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების ერთობლივი ფონდი, 2019; *გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციით (UNCRPD) დადგენილი სტანდარტები*, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, 2020.

[4] იქვე, მე-2 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი.

[5] იქვე, მე-4 მუხლის პირველი პუნქტი.

შესაძლებლობის მქონე პირის პერსონალური მონაცემები და საჭიროების შემთხვევაში, აღნიშნული მონაცემები გადასცეს სხვა პირს/ორგანიზაციას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიერ შესაბამისი სარგებლის მისაღებად.[6]

1.2.2. „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს აწესრიგებს **„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით**.[7] კანონი, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებს განსაკუთრებულ კატეგორიად მიიჩნევს.[8] აქედან გამომდინარე, შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას გასათვალისწინებელია კანონის მე-6 მუხლით დადგენილი მოთხოვნები. კერძოდ, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა დამუშავება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ უზრუნველყოფილია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და ინტერესების დაცვის ამ კანონით გათვალისწინებული გარანტიები და არსებობს აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დამუშავების ერთ-ერთი საფუძველი. აქვე, აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნის განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება დასაშვებია მხოლოდ მისი მშობლის ან სხვა კანონიერი წარმომადგენლის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, გარდა კანონით პირდაპირ გათვალისწინებული შემთხვევებისა.[9]

აღსანიშნავია, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დასამუშავებლად, კანონი დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს ავალდებულებს, განახორციელოს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასება.[10] კანონი, ასევე, ითვალისწინებს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი მონაცემები მუშავდება შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა განათლების უფლების განხორციელების მიზნით.[11]

---

[6] იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი.
[7] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5827307?publication=1> [23.06.2024].
[8] იქვე, მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.
[9] იქვე, მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი.
[10] იქვე, 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი.
[11] იქვე, მე-6 მუხლის „ო“ ქვეპუნქტი.

თუ მონაცემები მუშავდება შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით და დამუშავება მონაცემთა სუბიექტის თანხმობით ან კანონის საფუძველზე არ ხორციელდება, მონაცემთა შეგროვების/მოპოვების მიზნისგან განსხვავებული მიზნით მონაცემთა დამუშავების საკითხის გადაწყვეტისას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა, სხვა საკითხებს შორის, უნდა გაითვალისწინოს მუშავდება თუ არა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები.[12]

გასათვალისწინებელია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური შემოწმების (ინსპექტირება) განხორციელებისას, ითვალისწინებს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს, მათი პერსონალური მონაცემების ჯეროვანი დაცვის უზრუნველსაყოფად. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის **„პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“ 2024 წლის პირველი მარტის №34 ბრძანების** 26-ე მუხლით განსაზღვრულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევის წესი.[13] კერძოდ, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებების დადგენის, ასევე, ინფორმაციის ეფექტიანად მიღების უზრუნველყოფის მიზნით, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირისთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა უნდა განხორციელდეს შეზღუდვის შესაბამისი კორექტივების გათვალისწინებით. გარდა აღნიშნულისა, ყრუ ან სმენადაქვეითებული პირისთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა უნდა განხორციელდეს ჟესტური ენის მცოდნე თარჯიმნის (სურდოთარჯიმნის) მონაწილეობით. თუ პირი ყრუა, მისთვის შეკითხვების დასმა შესაძლებელია წერილობით, ხოლო თუ იგი მუნჯია, მას შეუძლია შეკითხვებს პასუხები წერილობით გასცეს.

[12] იქვე, მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

[13] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის ბრძანება №34, 2024 წლის 1 მარტი, „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის წესის დამტკიცების შესახებ“, მუხლი 26, <https://matsne.gov.ge/ka/document/view/6123882?publication=0> [30.06.2024].

1.3. საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

1.3.1. გაერთიანებული ერების კონვენცია „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ გაეროს კონვენცია[14] (“CRPD”) აწესრიგებს შშმ პირთა უფლებების დაცვის საკითხებს, რომლის მიზანია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიერ უფლებებითა და ძირითადი თავისუფლებებით თანაბარი სარგებლობის ხელშეწყობა და მათი თანდაყოლილი ღირსების პატივისცემა.[15] კონვენციის 22-ე მუხლი ითვალისწინებს შშმ პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პატივისცემის უფლებას, რომლის შესაბამისადაც პირები არ შეიძლება დაექვემდებარონ მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში არამართლზომიერ ჩარევას. დაცულია შშმ პირების პირადი მიმოწერისა ან სატელეფონო საუბრების მიყურადების უფლება. კონვენციის ხელშემკვრელმა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ყველა ზომა მათი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის, ჯანმრთელობისა და რეაბილიტაციასთან დაკავშირებული ინფორმაციის დასაცავად.[16]

კონვენციის მე-9 მუხლი ითვალისწინებს შშმ პირთათვის ხელმისაწვდომობის რიგ მიმართულებებს, რომელთა ფარგლებშიც, მათ შორის, სახელმწიფოთა ვალდებულებაა, მიიღონ შესაბამისი ზომები ინფორმაციაზე წვდომისა და ახალი საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით სარგებლობის ხელშესაწყობად.[17] ამ პროცესში განსაკუთრებით აქტუალურია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დაცვა. ხაზგასასმელია, რომ ევროკავშირმა 2010 წლის 23 დეკემბერს, მოახდინა აღნიშნული კონვენციის რატიფიცირება.[18]

---

[14] UN, Convention on the Rights of Persons with Disabilities, 13 December 2006.

[15] Human Rights, United Nations Convention on the Rights of Persons with Disabilities (UNCRPD), <https://humanrights.gov.au/our-work/disability-rights/united-nations-convention-rights-persons-disabilities-uncrpd#:~:text=The%20purpose%20of%20the%20United,respect%20for%20their%20inherent%20dignity.> [9.06.2024].

[16] UN, Convention on the Rights of Persons with Disabilities, 13 December 2006, Article 22.

[17] Ibid., Article 9.

[18] European Union – IMM situation, Committee on the Rights of Persons with Disabilities, 23 December 2010, <https://www.ohchr.org/en/treaty-bodies/crpd/european-union-imm situation#:~:text=The%20European%20Union%20ratified%20the,European%20Disability%20Forum%20(EDF).> [10.06.2024].

2023 წლის სექტემბერში, "CRPD"-ის კომიტეტმა გამოაქვეყნა 22-ე მუხლთან მიმართებით რამდენიმე წევრი სახელმწიფოს მიერ გასათვალისწინებელი რეკომენდაციები. მსგავსი შინაარსის რეკომენდაცია შემუშავდა საქართველოსთვის, რომლის თანახმად, კომიტეტმა ყურადღება გაამახვილა საქართველოში სამედიცინო დაწესებულებებსა და ინსტიტუტებში მონაცემთა დაცვისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის მიმართულებით არსებულ გამოწვევებზე. კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, მიზანშეწონილია, გადაიხედოს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის მოქმედების საკითხი და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრაქტიკა სამედიცინო დაწესებულებებსა და ინსტიტუტებში; ამასთან, მნიშვნელოვანია შემუშავდეს პროტოკოლი შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის თაობაზე.[19]

1.3.2. ევროპის საბჭოს სამართლებრივი მექანიზმები შშმ პირთა პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ

ევროპის საბჭოს ფარგლებში პერსონალური მონაცემების დაცვის უფლება უზრუნველყოფილია **ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის** მე-8 მუხლით,[20] რომლითაც დადგენილია პირადი და ოჯახური ცხოვრების, საცხოვრებლისა და მიმოწერის დაცვის უფლება და განსაზღვრულია ამ უფლებათა შეზღუდვის წინაპირობები. მე-8 მუხლის პირველი პუნქტი განსაზღვრავს უფლებებს, ხოლო მე-2 პუნქტი - საჯარო ხელისუფლების მხრიდან უფლების შეზღუდვის მართლზომიერებას ითვალისწინებს, რომელიც 3 პირობას უნდა აკმაყოფილებდეს: კანონთან შესაბამისობა, კანონიერი მიზანი და დემოკრატიულ საზოგადოებაში აუცილებლობა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების სავარაუდო დარღვევის საკითხებიც კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში ექცევა. შესაბამისად, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ჯანმრთელობასთან დაკავშირებული

[19] IDA's Compilation of CRPD Committee's Concluding Observations, Article 22 CRPD (Respect for privacy), September 2023, 6, <https://www.internationaldisabilityalliance.org/sites/default/files/article_22_crpd_1.pdf?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR0566aP1S3aoG-S8Zqpg52jyDAHhI-t2TmEMIRtu4n6Mas1SnH3_k1-8Gc_aem_AQyjDEp_rB5QbawJMEMnd1z2mKYNLDzGrOxCPV25EriNZjXiSCMcABgWTjbHQDyK1bhLOgUQclvxZw7BK7zvwmBW> [10.06.2024].

[20] CoE, European Convention for the Protection of Human Rights and Fundamental Freedoms, 1950.

პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების საკითხს სწორედ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნების ფარგლებში განიხილავს.

ევროპის საბჭოს კონვენცია „პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ“ (108-ე კონვენცია)[21] და მისი დამატებითი ოქმი ვრცელდება კერძო და საჯარო სექტორებში მონაცემთა დამუშავებაზე და უზრუნველყოფს ფიზიკური პირის დაცვას, პერსონალური მონაცემების დამუშავებისას მათი უფლებების შესაძლო ხელყოფისაგან.[22] მასში წარმოდგენილი პრინციპები უკავშირდება პერსონალური მონაცემების სამართლიან, ასევე, კანონიერ შეგროვებასა და დამუშავებას, რომელიც უნდა განხორციელდეს თავდაპირველად განსაზღვრული ლეგიტიმური მიზნებისთვის.[23]

კონვენციის მე-6 მუხლი აწესრიგებს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს, მასში ასევე მოიაზრება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ამგვარი მონაცემები არ ექვემდებარება ავტომატიზებულ დამუშავებას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა ეროვნული კანონმდებლობა უზრუნველყოფს მათი დაცვის შესაბამის გარანტიებს.[24]

„პერსონალურ მონაცემთა ავტომატური დამუშავებისას ფიზიკურ პირთა დაცვის შესახებ“ ევროპის საბჭოს 108-ე მოდერნიზებული კონვენციის თანახმად,[25] სენსიტიური ინფორმაციის დამუშავების კანონიერების წინაპირობაა შესაბამისი დაცვის გარანტიების არსებობა, მაგალითად: მონაცემთა სუბიექტის მკაფიოდ გამოხატული თანხმობა, კანონიერი მიზნის არსებობა, პროფესიული საიდუმლოების დაცვა, რისკის ანალიზი, ორგანიზაციული და ტექნიკური უსაფრთხოების ზომები.

ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია მოიცავს ფიზიკური პირის წარსულთან, აწმყოსა და მომავალთან დაკავშირებულ ინფორმაციას, რომელიც შეიძლება, მიუთითებდეს მონაცემთა სუბიექტის ფიზიკურ თუ მენტალურ ჯანმრთელობაზე. ასევე, გენეტიკური

---

[21] CoE, Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, 1981, <https://rm.coe.int/1680078b37> [30.06.2024].

[22] Handbook on European Law relating to the rights of the child, The Council of Europe (CoE) and the European Court of Human Rights (ECtHR), 2015, 193.

[23] Ibid.

[24] CoE, Convention for the Protection of Individuals with regard to Automatic Processing of Personal Data, European Treaty Series - No. 108, 1981, Article 6.

[25] CoE, Modernised Convention for the Protection of Individuals with Regard to the Processing of Personal Data, 128th Session of the Committee of Ministers, 2018, <https://search.coe.int/cm?i=09000016807c65bf> [30.06.2024].

ინფორმაციის დამუშავებისას, არსებობს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის გამოაშკარავების რისკი.[26]

<u>მაგალითი:</u>

თუ ფოტოსურათზე გამოსახულია პირის მხედველობის სათვალეები, მოტეხილი ფეხი, დამწვარი კანი ან სხვა ხილული მახასიათებელი, ცალსახაა, რომ მუშავდება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები, რადგან იკვეთება ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მდგომარეობა.[27]

გარდა აღნიშნულისა, თუ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები მუშავდება სტატისტიკის მიზნებისთვის, სავალდებულოა მათი შეგროვება მონაცემთა სუბიექტების არაიდენტიფიცირებადი ფორმით. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს იდენტიფიცირებადი ფორმით განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების საჭიროება, აუცილებელია შესაბამისი დაცვის გარანტიების უზრუნველყოფა.[28]

1.3.3. ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ (“GDPR”) განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების კონტექსტში

2018 წლის 25 მაისს ძალაში შევიდა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაცია“ (“GDPR”), რომლის მეშვეობით პერსონალურ მონაცემთა დაცვის სფეროში დამკვიდრდა ახალი საერთაშორისო სტანდარტი.[29] რეგულაციის მიზანია ტექნოლოგიური პროგრესისა და თანამედროვე გამოწვევების პირობებში ინდივიდთა უფლებების სათანადო დაცვა. რეგულაციის მე-9 მუხლი აწესრიგებს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების საკითხებს. მასში, სხვა მონაცემებს შორის, მოიაზრება ფიზიკური პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის დამუშავება. მე-4 მუხლის მე-15

[26] Convention 108 +, Convention for the protection of individuals with regard to the processing of personal data, 22, <https://rm.coe.int/convention-108-convention-for-the-protection-of-individuals-with-regar/16808b36f1> [10.06.2024].
[27] Ibid.
[28] Ibid.
[29] Regulation (EU) 2016/679 of the European Parliament and of the Council of 27 April 2016 on the protection of natural persons with regard to the processing of personal data and on the free movement of such data, and repealing Directive 95/46/EC (General Data Protection Regulation).

პუნქტის მიხედვით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემი არის ნებისმიერი ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება პირის ფიზიკურ ან მენტალურ ჯანმრთელობას, მათ შორის, ჩატარებულ სამედიცინო მომსახურებას, რომელიც ავლენს პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას. მითითებულ კატეგორიაში, ასევე, შეიძლება, მოიაზრებოდეს სპეციალური საჭიროების მქონე პირთა მონაცემები.[30]

"GDPR"-ის მე-9 მუხლის პირველი პუნქტი შეეხება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების ზოგად აკრძალვას. ამგვარი პერსონალური მონაცემები, თავისი ბუნებით სენსიტიურია ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებთან მიმართებით და საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას. შესაბამისად, მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, პირველი პუნქტით დადგენილი ზოგადი აკრძალვა არ ვრცელდება,[31] თუ:

- არსებობს მონაცემთა სუბიექტის ნათლად გამოხატული თანხმობა: მონაცემთა სუბიექტმა შეიძლება, გამოხატოს მკაფიო თანხმობა ერთი ან რამდენიმე კონკრეტული მიზნით განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე. მოცემულ შემთხვევაში, არა მხოლოდ უნდა დაკმაყოფილდეს ზოგადი იურიდიული ძალის მქონე თანხმობის მოთხოვნები, არამედ ნათლად უნდა მიეთითოს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;
- მონაცემთა დამუშავება აუცილებელია დასაქმების, სოციალური უზრუნველყოფისა და სოციალური დაცვის სფეროში დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირზე ან მონაცემთა სუბიექტზე დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად, და კონკრეტული უფლებების განსახორციელებლად;
- მონაცემთა დამუშავება საჭიროა მონაცემთა სუბიექტის ან სხვა ფიზიკური პირის სასიცოცხლო ინტერესების დასაცავად და სუბიექტს ფიზიკურად ან სამართლებრივად არ შესწევს უნარი, თანხმობა განაცხადოს დამუშავებაზე;
- დამუშავება ხორციელდება სათანადო გარანტიების დაცვით ფონდის, ასოციაციის ან სხვა არაკომერციული პირის მიერ პოლიტიკური, ფილოსოფიური, რელიგიური ან პროფესიული კავშირის მიზნებისათვის კანონიერი საქმიანობის განხორციელებისას და იმ პირობით, რომ დამუშავება უკავშირდება მხოლოდ ორგანიზაციის მოქმედ ან ყოფილ წევრებს ან პირებს, რომელთაც მუდმივი

[30] GDPRhub, "GDPR" commentary, Article 9, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_9_GDPR#(1)_General_prohibition_of_processing_of_special_categories_of_personal_data> [10.06.2024].
[31] The EU General Data Protection Regulation ("GDPR"), Practical Guide, 2017, 112-114.

კავშირი აქვთ ამ გაერთიანებასთან მისი მიზნებიდან გამომდინარე, ხოლო მონაცემები ორგანიზაციის გარეთ არ გამჟღავნდება მონაცემთა სუბიექტების თანხმობის გარეშე;

- დამუშავება უკავშირდება ისეთ პერსონალურ მონაცემებს, რომლებიც თავად სუბიექტმა გამოაქვეყნა საჯაროდ. აღნიშნული შეიძლება, უკავშირდებოდეს საჯაროდ ხელმისაწვდომ რეესტრებს, ვებგვერდებს, სიას, სოციალურ ქსელს და ა.შ.;
- დამუშავება აუცილებელია სამართლებრივი მოთხოვნის დასამტკიცებლად, განსახორციელებლად, მის დასაცავად ან სასამართლოების მიერ მართლმსაჯულების განსახორციელებლად;

<u>მაგალითი:</u>

ყოფილმა პაციენტმა "A"-მ, საჩივარი შეიტანა სამედიცინო დაწესებულების წინააღმდეგ. საკუთარი უფლებების დასაცავად, სამედიცინო დაწესებულება იყენებს "A"-ის სამედიცინო ჩანაწერებს.

სამედიცინო ჩანაწერებით ვლინდება "A"-ის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემები, რაც საჭიროებს განსაკუთრებულ დაცვას "GDPR"-ის მე-9 მუხლის შესაბამისად. თუმცა, სამედიცინო დაწესებულება მონაცემებს საკუთარი უფლებების დასაცავად იყენებს "A"-ის მიერ წარდგენილი საჩივრის საპასუხოდ.

მოცემულ საქმეში, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება აუცილებელია სამართალწარმოების ფარგლებში მტკიცებულებების არსებობისთვის. აღნიშნულიდან გამომდინარე, "A"-ის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას გადაწონის მისი მონაცემების დამუშავების საჭიროება.[32]

- დამუშავება აუცილებელია არსებითი საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის საფუძველზე, რომელიც დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს, პატივს სცემდეს მონაცემთა დაცვის უფლების არსს და ითვალისწინებდეს სათანადო და კონკრეტულ ღონისძიებებს მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად;
- დამუშავება აუცილებელია პრევენციული მედიცინის ან შრომითი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, დასაქმებულის სამუშაო შესაძლებლობების შესაფასებლად, სამედიცინო დიაგნოზის დასასმელად, ჯანდაცვის ან სოციალური

[32] Ibid., 114.

დაცვის უზრუნველსაყოფად, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროსა და შესაბამისი მომსახურების სამართავად ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის ან სამედიცინო სფეროს სპეციალისტთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია მე-3 პუნქტში მითითებული პირობები და დაცვის გარანტიები;

- დამუშავება აუცილებელია საზოგადოებრივ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული საჯარო ინტერესიდან გამომდინარე, როგორიცაა, მაგალითად, ჯანმრთელობის სერიოზული საერთაშორისო საფრთხეებისგან დაცვა ან ჯანდაცვის მომსახურების, სამედიცინო პროდუქტებისა და მოწყობილობების ხარისხისა და უსაფრთხოების მაღალი სტანდარტის უზრუნველყოფა ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია მონაცემთა სუბიექტის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის სათანადო გარანტიები, განსაკუთრებით, პროფესიული საიდუმლოების დაცვა;
- დამუშავება აუცილებელია საჯარო ინტერესებისათვის არქივირების, სამეცნიერო ან ისტორიული კვლევის ან სტატისტიკური მიზნებისათვის, 89-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის შესაბამისად, რომელიც დასახული მიზნის პროპორციული უნდა იყოს, პატივს სცემდეს მონაცემთა დაცვის უფლებას და ითვალისწინებდეს სათანადო და კონკრეტულ ღონისძიებებს მონაცემთა სუბიექტის ფუნდამენტური უფლებებისა და ინტერესების დასაცავად.[33]

<u>მაგალითი:</u>

ავიაკომპანია "Holiday Airways" მგზავრებს, რომელთაც დამხმარის გარეშე მგზავრობა არ შეუძლიათ (მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის გამო), დახმარების სერვისს სთავაზობს. ერთ-ერთმა მომხმარებელმა შეიძინა ამსტერდამი-ბუდაპეშტის ბილეთი და ითხოვა დახმარება თვითმფრინავში ასასვლელად. "Holiday Airways"-მა მომხმარებელს სთხოვა, წარმოედგინა ინფორმაცია მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, იმისათვის, რომ ავიახაზებს ამ ინფორმაციის საფუძველზე სათანადო სერვისები დაეგეგმა (აღნიშნული, შესაძლოა, მოიცავდეს, მაგალითად: ეტლით მომსახურებას გასასვლელთან ან დამხმარეს, რომელიც მასთან ერთად იმგზავრებს ამსტერდამიდან ბუდაპეშტამდე). ავიაკომპანიამ მკაფიო თანხმობის გამოხატვა მოითხოვა მომხმარებლის ჯანმრთელობის მონაცემების დამუშავებაზე, მის მიერ მოთხოვნილი დახმარების უზრუნველყოფის მიზნით. თანხმობის

[33] Ibid., 112-114.

საფუძველზე დამუშავებული მონაცემები აუცილებელი უნდა იყოს მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად. ამასთან, ფრენები ბუდაპეშტში, როგორც წესი, სამგზავრო დახმარების გარეშე ხორციელდება.

ზემოაღნიშნულ შემთხვევაში, მონაცემთა დამუშავება აუცილებელია მოთხოვნილი მომსახურების გასაწევად.[34]

"GDPR"-ის მე-3 პუნქტში წარმოდგენილია კონკრეტული ინდიკატორები, როდესაც პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება პროფესიული ან ინსტიტუციური საქმიანობის ფარგლებში, ხოლო მე-4 პუნქტში გათვალისწინებულია წევრი სახელმწიფოების ვალდებულება, შეინარჩუნონ ან წარმოადგინონ დამატებითი პირობები, მათ შორის, შეზღუდვები როგორც გენეტიკური და ბიომეტრიული მონაცემების, ისე ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დამუშავებისას.[35]

დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირმა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, უნდა გაითვალისწინოს:

- ☑ აუცილებელია შემოწმდეს, რომ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება საჭიროა განსაზღვრული მიზნის მისაღწევად და არ არსებობს ნაკლებად მზღუდავი საშუალება;
- ☑ უნდა დადგინდეს, რომ არსებობს მონაცემთა დამუშავების სამართლებრივი საფუძვლები;
- ☑ საჭიროა, არსებობდეს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავების განსაზღვრული პირობები;
- ☑ აუცილებელია აღირიცხოს, განსაკუთრებული კატეგორიის რომელი პერსონალური მონაცემი მუშავდება;
- ☑ საჭიროების შემთხვევაში, უნდა შემუშავდეს შესაბამისი პოლიტიკის დოკუმენტი;
- ☑ უნდა განისაზღვროს მონაცემთა დაცვაზე ზეგავლენის შეფასების განხორციელების საჭიროება;
- ☑ თუ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავება ხორციელდება ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების

[34] EDPB, Guidelines 05/2020 on consent under Regulation 2016/679, 4 May 2020, 22, <https://www.edpb.europa.eu/sites/default/files/files/file1/edpb_guidelines_202005_consent_en.pdf> [30.06.2024].

[35] GDPRhub, "GDPR" commentary, Article 9, <https://gdprhub.eu/index.php?title=Article_9_GDPR#(1)_General_prohibition_of_processing_of_special_categories_of_personal_data> [10.06.2024].

მისაღებად, უნდა შემოწმდეს ამ ფორმით მონაცემთა დამუშავების შესაბამისობა ძირითადი რეგულაციის მოთხოვნებთან;

- ☑ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირების სხვა ვალდებულებათა წარმოშობის საკითხები.[36]

[36] Information Commissioner's Office (ICO), Special category data, <https://ico.org.uk/for-organisations/uk-gdpr-guidance-and-resources/lawful-basis/a-guide-to-lawful-basis/lawful-basis-for-processing/special-category-data/> [30.06.2024].

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკა შშმ პირთა მონაცემების დამუშავების კანონიერების შესახებ

2.1.შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება გეგმური ინსპექტირების ფარგლებში

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2023 წლის 15 მარტის №01/42 ბრძანებით დამტკიცებული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (შშმ) პირთა უფლებების დაცვის 2023 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების მიზანს სწორედ შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დაცვის უზრუნველყოფა წარმოადგენდა. აღნიშნული მოიცავდა სამსახურის უფროსის 2023 წლის 31 იანვრის №01/20 ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების 2023 წლის გეგმის შესაბამისად, შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შემოწმებას. ზემოხსენებული აქტივობის შესასრულებლად, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2023 წლის გეგმის ერთ-ერთ მიზნობრივ ჯგუფად განისაზღვრა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მათი მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლის მიზნით გეგმურად შემოწმდა მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი 3 (სამი) პირი.

2 (ორი) მცირე საოჯახო ტიპის სახლის შემოწმება

საქართველოს მთავრობის დადგენილებით დამტკიცებული ბავშვზე ზრუნვის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ერთ-ერთი ქვეპროგრამაა მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვთა სპეციალიზებული საოჯახო ტიპის მომსახურება. ამავე დადგენილებით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის მიზანია მზრუნველობამოკლებული მძიმე და ღრმა შეზღუდული შესაძლებლობის ან ჯანმრთელობის პრობლემების მქონე ბავშვების ოჯახთან მიახლოებულ გარემოში განთავსების გზით ოჯახთან მიახლოებულ პირობებში მოვლისა და აღზრდის უზრუნველყოფა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან ქვეპროგრამით გათვალისწინებული მომსახურების გაწევის პროცესში ორგანიზაცია, რომელიც მართავს მცირე საოჯახო ტიპის სახლს, ამუშავებს არასრულწლოვანი შშმ პირი ბენეფიციარების დიდი მოცულობის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა გეგმურად შეისწავლა მომსახურების მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ მათ მმართველობაში არსებული მცირე საოჯახო ტიპის სახლების (ჯამში 2 (ორი)

მცირე საოჯახო ტიპის სახლი) ბენეფიციარების პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება.

შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ მცირე საოჯახო ტიპის სახლებში მუშავდება ბენეფიციარების პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი დოკუმენტაცია, რომლებსაც მცირე საოჯახო ტიპის სახლი, ერთი მხრივ, მოიპოვებს სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოსგან“, ხოლო მეორე მხრივ, უშუალოდ მომსახურების გაწევის პროცესში გამოკვეთილი საჭიროებების გათვალისწინებით, სხვადასხვა გზით (მაგალითად, აღმზრდელობითი საქმიანობის განმავლობაში, იმ მკურნალობის ფარგლებში, რომელსაც ორგანიზაცია ზედამხედველობს და სხვა). ამასთან, შემოწმების ფარგლებში, სააგენტოსა და ორგანიზაციებისგან წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე, ორგანიზაციის საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების საფუძველზე დადგინდა, რომ კანონმდებლობა ორგანიზაციას ავალდებულებს მომსახურების პროცესში აწარმოოს (მოიპოვოს, შექმნას და შეინახოს) ბენეფიციარებთან დაკავშირებით რეგლამენტით გათვალისწინებული ჟურნალები და ე.წ. „პირადი საქმეები“, სადაც დაცული იქნება ინდივიდუალური განვითარების გეგმის ასლები და მომსახურების ინდივიდუალური გეგმები, ინფორმაცია ბენეფიციარის განათლებასთან, ჯანმრთელობასა და სხვა საკითხებთან დაკავშირებით. ამდენად, შემოწმებების ფარგლებში მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ ორგანიზაცია ბენეფიციარების პერსონალურ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს ამუშავებს კონკრეტული, მკაფიოდ განსაზღვრული კანონიერი მიზნის მისაღწევად საჭირო მოცულობით. შემოწმებების ფარგლებში, ასევე, დადგინდა, რომ მატერიალური ფორმით მონაცემების დამუშავების პარალელურად, ორგანიზაცია ბენეფიციარების მონაცემების დამუშავებისთვის იყენებს ტექნიკურ საშუალებებს – პორტატულ კომპიუტერსა (ე.წ. „ლეპტოპი“) და მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირების პირადი ელექტრონული ფოსტის მისამართებს. შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ პორტატული კომპიუტერი, რომლის მეშვეობითაც მუშავდებოდა ბენეფიციარების პერსონალური მონაცემები, წარმოადგენდა მცირე საოჯახო ტიპის სახლის ლიდერის პირად პორტატულ კომპიუტერს. ამასთან, ორივე შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ პორტატული კომპიუტერები, რომლებიც გამოიყენებოდა მონაცემების დამუშავების მიზნებისთვის, არ იყო დაცული პაროლით, ხოლო ელექტრონული ფოსტის მისამართის პაროლი დამახსოვრებული იყო პორტატულ კომპიუტერებში. აღნიშნული კი ნებისმიერ პირს, რომელსაც ხელი მიუწვდება კომპიუტერებზე, შესაძლებლობას აძლევს წვდომა განახორციელოს ელექტრონულ ფოსტაში დაცული

ბენეფიციარის პერსონალურ, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებზე. ერთ-ერთი შემოწმების ფარგლებში დამატებით დადგინდა, რომ პორტატული კომპიუტერით, რომლის მეშვეობითაც მუშავდება ბენეფიციარების პერსონალური მონაცემები, სარგებლობდა მცირე საოჯახო ტიპის სახლის რამდენიმე თანამშრომელი, თუმცა ისინი კომპიუტერის გამოყენებისთვის არ იყენებდნენ ინდივიდუალურ (განპიროვნებულ) მომხმარებელს. აღსანიშნავია, რომ პირადი ელექტრონული ფოსტის საშუალებით პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაციის ორგანიზაციის თანამშრომლების მიერ მიმოცვლა პრობლემურია იმდენად, რამდენადაც აღნიშნული ელექტრონული სისტემა მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობას დასაქმებულებს აძლევს სხვა ელექტრონული მოწყობილობებიდანაც, ხოლო აღნიშნულის გაკონტროლება სრულად ორგანიზაციის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებზე დამოკიდებული ვერ იქნება. ამასთან, მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობა დასაქმებულ პირებს უნარჩუნდებათ მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირთან სამსახურებრივი (შრომითი) კავშირის შეწყვეტის შემდეგაც. ორგანიზაციის შინაგანაწესსა და შრომით ხელშეკრულებაში, ასევე, ორგანიზაციის მიერ შედგენილ ცალკე დოკუმენტში (რომელიც აწესრიგებს ბენეფიციართა პერსონალური მონაცემების დაცვას) სამსახურებრივი ინფორმაციის კონფიდენციალურობის შესახებ არსებული ჩანაწერი კი ვერ მიიჩნევა იმ რისკების ადეკვატურ ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომად, რომელსაც შეუძლია უზრუნველყოს ორგანიზაციაში მონაცემთა უსაფრთხოება. აღნიშნული კი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს იმის გათვალისწინებით, რომ ორგანიზაციაში თავს იყრის არასრულწლოვნების დიდი მოცულობის, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემები. ამდენად, შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ორგანიზაციას არ ჰქონდა მიღებული მონაცემთა უსაფრთხოებისთვის შესაბამისი ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომები.

სამსახურის გადაწყვეტილების თანახმად, ორგანიზაციებს დაეკისრათ პასუხისმგებლობა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლის პირველი პუნქტით[37] გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის და პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაევალათ ზემოხსენებული დარღვევების აღმოფხვრა.

[37] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 5669-რს, 28/12/2011.

სსიპ - სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს შემოწმება

„სოციალური რეაბილიტაციისა და ბავშვზე ზრუნვის 2023 წლის სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 21 თებერვლის №69 დადგენილების საფუძველზე განსახორციელებელ ერთ-ერთ ქვეპროგრამას წარმოადგენს ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამა. აღნიშნული ქვეპროგრამის ფარგლებში, შშმ ბავშვებისა და მათი ოჯახების გაძლიერების, ბავშვების ფიზიკური და ინტელექტუალური ფუნქციური პოტენციალის რეალიზების, ზოგადი ჯანმრთელობის, ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესებისა და ინკლუზიური განვითარების პროცესის ხელშეწყობის მიზნით ხორციელდება შესაბამის სპეციალისტთა გუნდის მიერ ბენეფიციარისთვის ინდივიდუალური რეაბილიტაცია/აბილიტაციის გეგმის შედგენა და მისი განხორციელება (მათ შორის, თერაპიული ინტერვენციის და სხვა სახის თერაპიების განხორციელების გზით). სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტო, არასრულწლოვნის კანონიერი წარმომადგენლის მიერ ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით წარდგენილი განცხადების საფუძველზე ამუშავებს შშმ არასრულწლოვნების დიდი მოცულობით პერსონალურ მონაცემებს (მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობის, შშმ სტატუსის და რეინტეგრაციის შემწეობის თაობაზე ინფორმაციას, სოციალურად დაუცველი პირის სტატუსს, სარეიტინგო ქულას და სხვა). შემოწმება მოიცავდა სააგენტოს მიერ ზემოხსენებულ ქვეპროგრამაში ჩართვის მოთხოვნით ქალაქ თბილისის საქალაქო ცენტრში წარდგენილი განცხადებების განხილვის მიზნით ელექტრონული სისტემების საშუალებით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას. შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების ფარგლებში მონაცემები მუშავდება სააგენტოს საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამისა და სპეციალური ვებპორტალის საშუალებით. ამასთან, აღნიშნული სისტემების ადმინისტრირების პროცესში სააგენტო იყენებს უფლებამოსილი პირის, კერძოდ სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს მომსახურებას. აღნიშნული სააგენტო, მათ შორის, ახორციელებს სისტემების ტექნიკურ მხარდაჭერას და სააგენტოს დავალებების შესაბამისად, მომხმარებელთა მართვას.

ვებ-პორტალის რეაბილიტაცია/აბილიტაციის მოდულში, სხვა სახის ინფორმაციასთან ერთად, გათვალისწინებულია ინფორმაციის შევსება ქვეპროგრამის ბენეფიციარის კანონიერი წარმომადგენლის დასაქმების თაობაზე, ასევე, ბენეფიციარისთვის სხვა

სახის დაფინანსების არსებობის შესახებ. შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ ხსენებული მონაცემები არ არის მნიშვნელოვანი და არ გამოიყენება რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამის განხორციელების ფარგლებში. მიუხედავად იმისა, რომ შემოწმების ფარგლებში აღნიშნული ინფორმაციის პორტალში შენახვის ფაქტი არ გამოვლინდა, სამსახურმა განმარტა, რომ შესაბამისი ველების არსებობის პირობებში, არსებობს საფრთხე, განაცხადის რეგისტრაციის განმახორციელებელმა პირებმა სხვადასხვა განმცხადებლებთან მიმართებით შეავსონ ისინი, რის შედეგადაც ადგილი ექნება ქვეპროგრამის განხორციელების მიზნის და საჭიროების შეუსაბამო მოცულობით მონაცემების დამუშავებას. შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია ვებ-პორტალის რეაბილიტაცია/აბილიტაციის მოდულიდან ამოღებული იქნას ველები სახელწოდებით - „დასაქმება“ და „სხვა სახის დაფინანსება“. შემოწმებისას ასევე გამოიკვეთა, რომ ვებ-პორტალში რეაბილიტაცია/აბილიტაციის მოდულში მონაცემები ინახება მუდმივად, თუმცა ტრეფიკინგის სააგენტოს მიერ არ არის შეფასებული მათი შენახვის საჭიროებიდან გამომდინარე შენახვის ვადა. ამდენად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ე“ ქვეპუნქტით[38] გათვალისწინებული მონაცემთა დამუშავების პრინციპის დაცვის უზრუნველყოფისთვის, ტრეფიკინგის სააგენტოს დაევალა მონაცემთა შენახვის საჭიროების/კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით, მონაცემთა დამუშავების მიზნის პროპორციულად განსაზღვროს ხსენებული ვადები.

სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს მიერ რამდენიმე ეპიზოდში დაირღვა ვებპორტალის და საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის საშუალებით ქვეპროგრამის ფარგლებში მონაცემების დამუშავებისას უსაფრთხოების დასაცავად საჭირო ორგანიზაციულ-ტექნიკური ზომების მიღების ვალდებულება, კერძოდ:

- ვებ-პორტალში აქტიური ანგარიშის მქონე 143 (ას ორმოცდასამი) პირთან დაკავშირებით, ტრეფიკინგის სააგენტომ ვერ დააზუსტა, თუ ვინ არიან ისინი და რა უფლებამოსილების ფარგლებში ესაჭიროებათ ქვეპროგრამის ფარგლებში დამუშავებულ ინფორმაციაზე დაშვება. აქვე აღსანიშნავია, რომ ვებ-პორტალზე ამ პირების მხრიდან წვდომა შესაძლებელი იყო ინტერნეტის ღია ქსელიდან, საიდანაც, საჭიროების შემთხვევაში, მათ ჰქონდათ პაროლის აღდგენის შესაძლებლობაც. დასახელებულ პორტალზე დაშვება ასევე გააჩნდათ სააგენტოს ყოფილ თანამშრომლებსაც;

[38] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 5669-რს, 28/12/2011.

- ვებ-პორტალში რეაბილიტაცია/აბილიტაციის მოდულზე დაშვების მქონე სააგენტოს თანამშრომელთა ნაწილს, მათი საქმიანობის ფარგლებში, დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად არ ესაჭიროებოდა მოდულში დამუშავებულ სრულ ინფორმაციაზე წვდომა;
- საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამისა და ვებ-პორტალის მონაცემთა ბაზის სერვერებზე პირდაპირი წვდომის შემთხვევაში, ასევე ვებ-პორტალში მონაცემების დამუშავების შესახებ ინფორმაცია არასრულად აღირიცხებოდა. ამასთან, ხსენებულ მონაცემთა ბაზაზე წვდომისთვის უფლებამოსილი თანამშრომლები სარგებლობდნენ საერთო მომხმარებლით;
- საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში პაროლის სირთულე და სიმბოლოების რაოდენობა წინასწარ არ იყო განსაზღვრული და შესაძლებელი იყო ნებისმიერი, მათ შორის, მარტივი პაროლის დაყენება;
- განმცხადებლების ქვეპროგრამაში ჩართვის თაობაზე გადაწყვეტილების მიღების, ასევე მათთვის ქვეპროგრამაში ჩართვაზე უარის განმარტების მიზნებისთვის, სააგენტოს თითოეულ ტერიტორიულ ერთეულს, საქმისწარმოების ელექტრონული პროგრამის გამოყენებით ეგზავნებოდა განმცხადებლების ერთიანი სიები. შედეგად ხსენებული სიები ხელმისაწვდომი ხდებოდა სააგენტოს, მათ შორის, ისეთი თანამშრომლისთვისაც, რომელსაც არ ჰქონდა მათში მითითებულ სრულ ინფორმაციაზე დაშვების საჭიროება;
- ვებ-პორტალში მომსახურების მიმწოდებელი სამედიცინო დაწესებულებებისთვის შექმნილი სამსახურებრივი ანგარიშები არ იყო განპიროვნებული ამავე ორგანიზაციების თანამშრომლებზე. სააგენტოს და სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოსთვის არ იყო ცნობილი, იმ თანამშრომელთა ვინაობა, რომლებიც იყენებენ ამ ორგანიზაციებისთვის შექმნილ მომხმარებლებს.
- შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ სააგენტოს მიერ სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგების სააგენტოს ინფორმაცია მიეწოდა რამდენიმე თანამშრომლის გათავისუფლების თაობაზე. აღნიშნული მიმართვებიდან 2 (ორი) შემთხვევაში სპეციალურად იყო მოთხოვნილი თანამშრომლებზე განპიროვნებული მომხმარებლების ვებ-პორტალიდან გამორთვაც, თუმცა უფლებამოსილმა პირმა არ უზრუნველყო ხსენებული მოთხოვნის შესრულება, რის შედეგადაც შემოწმების დროისათვის ხსენებული მომხმარებლები კვლავ აქტიური იყო.

სამსახურის გადაწყვეტილების თანახმად, სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს პასუხისმგებლობა დაეკისრა

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 46-ე მუხლით[39] გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენისთვის, ხოლო სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს - ამავე კანონის 52-ე მუხლის პირველი პუნქტით[40] გათვალისწინებული სამართალდარღვევის ჩადენისთვის. მონაცემთა უსაფრთხოების სამომავლოდ უზრუნველყოფის მიზნით კი სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს და სსიპ - ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს დაევალათ ზემოხსენებული დარღვევების აღმოფხვრა.

სამსახურის მიერ შესწავლილი მონაცემთა დამუშავების პროცესების „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით გაცემული რეკომენდაციებისა და დავალებების ანალიზის გათვალისწინებით, იმ პირებმა, რომლებიც ჩართულნი არიან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაცემების დამუშავების პროცესში, ყურადღება უნდა მიაქციონ შემდეგ საკითხებს:

- მონაცემების უსაფრთხოდ დამუშავების უზრუნველყოფისთვის მნიშვნელოვანია, რომ დამუშავების პროცესში გამოყენებულ იქნეს ისეთი ელექტრონული საშუალებები, რომლებიც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს შესაძლებლობას მისცემს სათანადო საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში ნებისმიერ დროს მიიღოს მონაცემთა დაცვის ადეკვატური ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები, იმავდროულად, ისეთიც, რომელიც გამორიცხავს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ ყოფილი თანამშრომლების (არაუფლებამოსილი პირების) მიერ მონაცემებზე წვდომის შესაძლებლობას;
- მნიშვნელოვანია, მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე თითოეულმა პირმა მონაცემებზე წვდომა განახორციელოს მხოლოდ კომპლექსური პაროლით დაცული, მასზე განპიროვნებული მომხმარებლის ანგარიშით. კომპლექსური პაროლით უნდა იყოს დაცული მონაცემების შემცველი ელექტრონული სისტემები და ისეთი მოწყობილობები, როგორებიცაა, მაგალითად, პორტატული კომპიუტერი და სხვა;
- მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა უზრუნველყონ ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ განხორციელებული მოქმედებების სრულყოფილად აღრიცხვა და პერიოდული მონიტორინგი, ვინაიდან აღნიშნული წარმოადგენს მონაცემთა უკანონო დამუშავების პრევენციის

[39] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 5669-რს, 28/12/2011.
[40] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 5669-რს, 28/12/2011.

ეფექტიან საშუალებას. ამასთანავე, მნიშვნელოვანია ელექტრონულ მონაცემთა მიმართ განხორციელებული მოქმედებები აღირიცხოს ავტომატურად, რადგან ადამიანური რესურსის გამოყენებით, მექანიკურად (ხელით) მოქმედებების აღრიცხვის შემთხვევაში, მაღალია ინფორმაციის არასრულად/არასწორად მითითების ალბათობა;

- მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა უნდა შეაფასონ შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად რა ვადით არის საჭირო და აუცილებელი შშმ პირების მონაცემების შენახვა და აღნიშნული ვადის გასვლის და მიზნის მიღწევის შემდგომ უზრუნველყონ მათი წაშლა;
- პერსონალურ მონაცემებზე დაშვება უნდა შეეზღუდოთ ორგანიზაციების იმ თანამშრომლებს, რომლებსაც დაკისრებული მოვალეობების განხორციელებისას არ აქვთ აღნიშნული წვდომის საჭიროება. მათ შორის, დანერგილი უნდა იყოს სათანადო მექანიზმ(ებ)ი, რაც თანამშრომლებს წვდომას შეუზღუდავს ისეთი სახის მონაცემებზე, რომლებიც გარემოებების ცვლილების პირობებში აღარ არის აქტუალური მათთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისთვის. ამასთან, მონაცემებზე წვდომა უნდა შეეზღუდოთ ყოფილ თანამშრომლებს შრომითი ურთიერთობის შეწყვეტისთანავე და სხვა.

აღსანიშნავია, რომ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვა სამსახურის მუდმივი პრიორიტეტია და აღნიშნული მიმართულებით მონაცემთა დამუშავების პროცესების შესწავლა, ასევე, გათვალისწინებულია „პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმებების (ინსპექტირება) 2024 წლის გეგმის დამტკიცების შესახებ“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის 2024 წლის 18 იანვრის №ბ/0046-2024 ბრძანებითაც.

2.2.შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება კერძო სექტორში

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა ერთ-ერთი პირის მომართვის საფუძველზე, შეისწავლა ა(ა)იპ „საქართველოს უსინათლოთა კავშირის მიერ“ ვიდეომონიტორინგის სისტემის მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება. შეტყობინების ავტორის განმარტებით, კავშირის შენობაში, ამავე კავშირის სამმა წევრმა დაიწყო შიმშილობა, რის შემდგომ, კავშირის ადმინისტრაციამ რამდენიმე დღეში შენობის დერეფანსა და მოშიმშილეთა ოთახში განათავსა ვიდეოკამერები.

კავშირის მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურისთვის წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მოშიმშილეებმა სცადეს კავშირის გამგეობის თავმჯდომარის კარის შემტვრევა, შესაბამისად, მსგავსი ფაქტების თავიდან არიდების, კავშირის თანამშრომელთა უსაფრთხოების, ასევე, მოშიმშილეთა ჯანმრთელობის დაცვის მიზნით, შენობაში განთავსდა ვიდეოკამერები.

შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ მოშიმშილეები ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ არ იყვნენ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით ინფორმირებულნი. აღნიშნული სამსახურმა კანონდარღვევად შეაფასა, შედეგად, კავშირს, ვიდეომონიტორინგის წესების დარღვევის ფაქტზე, დაეკისრა შესაბამისი პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, რომ კავშირს არ ჰქონდა მიღებული კანონით გათვალისწინებული უსაფრთხოების ზომები. კერძოდ, დადგინდა, რომ ვიდეოჩანაწერების შემნახველი მოწყობილობა არ იყო დაცული და მასზე წვდომა შეეძლო ნებისმიერ პირს, რომელიც ფიზიკურად მოხვდებოდა მოწყობილობასთან. ამდენად, აღნიშნულ ფაქტზე, კანონით დადგენილი უსაფრთხოების წესების დარღვევისთვის, კავშირს დაეკისრა კანონით გათვალისწინებული ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.

2.3.შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება საჯარო სექტორში

საჯარო დაწესებულების მიერ „ქმედუუნაროდ/შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებულ სრულწლოვან პირთა ბაზაში“ პერსონალური მონაცემების დამუშავების კანონიერება

შემოწმებით დადგინდა, რომ ერთ-ერთი საჯარო დაწესებულების ელექტრონულ ბაზაში ასახულია ქმედუუნაროდ/შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებული/მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი სრულწლოვანი პირების მონაცემები. კერძოდ, ელექტრონულ პორტალში რეგისტრირდება შესაბამისი იურიდიული აქტები, რა პროცესშიც უფლებამოსილ პირებს (პირთა შეზღუდული წრე) მიეწოდებათ ინფორმაცია პირის ბაზაში რეგისტრაციის შესახებ შემდეგი წარწერით - „პიროვნება სასამართლოს გადაწყვეტილებით მიჩნეულია ქმედუუნაროდ“. აღსანიშნავია, რომ ელექტრონულ ბაზაში ინფორმაციის ასახვის და მისი განახლების მიზნით, მონაცემებს აღნიშნული საჯარო დაწესებულება მოიპოვებდა მეურვეობისა და მზრუნველობის განმახორციელებელი შესაბამისი დაწესებულებებიდან. შემოწმების ფარგლებში, ასევე, გამოვლინდა, რომ პორტალი და მისი მონაცემთა ბაზა განთავსებული იყო სხვა

საჯარო დაწესებულების კუთვნილ სერვერზე, რომელიც მის ტექნიკურ ადმინისტრირებას ახორციელებდა და პორტალის მონაცემთა ბაზაზე მონაცემთა ადმინისტრირების უფლებით, პირდაპირი წვდომა გააჩნდა.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა დაადგინა მონაცემთა დამუშავების პრინციპებთან შეუსაბამობა, ასევე, უფლებამოსილი პირის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა და უსაფრთხოების წესების დაუცველობა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებაში ხაზგასმით აღინიშნა სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულება, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში უზრუნველყოფილ იქნას შეზღუდულქმედუნარიანი/მხარდაჭერის მიმღები პირების მონაწილეობა და მათი უფლებების ჯეროვნად რეალიზებისთვის შექმნას სათანადო პირობები. აღნიშნული, ასევე, გულისხმობს ფსიქოსოციალური საჭიროებების მქონე პირთა უფლებებზე ორიენტირებული და მათ საჭიროებებზე მორგებული პროცედურული მექანიზმების შემუშავებას, შესაბამისი მონაცემთა სუბიექტების სრულფასოვანი მონაწილეობის უზრუნველყოფას ადმინისტრაციულ წარმოებაში და სხვა. საყურადღებოა, რომ შეზღუდულქმედუნარიანი/მხარდაჭერის მიმღები პირები საკუთარი უფლებების განხორციელების რიგ პროცესებში დამოუკიდებლად მონაწილეობენ, სამართალურთიერთობათა ნაწილში კი - მზრუნველის/მხარდამჭერის საშუალებით. ამასთან, იურიდიული მოქმედების მართლზომიერებისთვის მნიშვნელოვანია, რომ ამ მოქმედების განმახორციელებელი პირი სათანადოდ იყოს ინფორმირებული სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ნამდვილი, ინფორმირებული ნების გამოხატვის უნარებისა და ამ თვალსაზრისით არსებული საჭიროებების შესახებ. როგორც შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა, ელექტრონული ბაზის საშუალებით აღნიშნულის შესახებ შესაბამისი უფლებამოსილი პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება სამართალურთიერთობათა მონაწილეების უფლებებისა და საუკეთესო, რიგ შემთხვევაში კი - სასიცოცხლო ინტერესების ჯეროვნად განხორციელებას და შეზღუდულქმედუნარიანად აღიარებული/მხარდაჭერის მიმღებად ცნობილი პირების ინტერესებისთვის არასასურველი შედეგების დადგომის თავიდან აცილებას ემსახურება.

შემოწმებისას დადგინდა, რომ ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში ინტეგრირებული იყო „შენიშვნის“ გრაფა, თუმცა დაწესებულებას არ ჰქონდა განსაზღვრული ამ გრაფაში ასახული მონაცემების, მათ შორის, მხარდამჭერის/მეურვის სახელის, გვარის, პირადი ნომრის და ა.შ., დამუშავების კონკრეტული და მკაფიო მიზნები. გარდა ამისა,

მონაცემების შემყვანი პირი მოცემულ გრაფაში ინფორმაციის მისი შეხედულების მიხედვით ასახავდა, ხოლო უწყებას არ ჰქონდა შემუშავებული რაიმე კონკრეტული წესი/ინსტრუქცია, რომელიც მითითებული გრაფის ერთგვაროვანი პრაქტიკით შევსებას უზრუნველყოფდა. აღნიშნული პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით[41] დადგენილი მოთხოვნების დარღვევად შეაფასა, რაც გახდა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი.

სამსახურმა მონაცემთა დამუშავების მიზნის შეზღუდვის პრინციპის სათანადოდ დაცვისთვის აუცილებლად მიიჩნია, რომ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელმა პირმა შეაფასოს ელექტრონულ ბაზაში „შენიშვნის“ გრაფაში ასახული მონაცემებიდან თითოეულის დამუშავების კონკრეტული და კანონიერი მიზანი, აღნიშნულთან შესაბამისობაში მოიყვანოს საკითხის მომწესრიგებელი სამართლებრივი აქტები და სათანადო სახელწოდების გრაფებში სისტემატიზებულად დაამუშაოს მხოლოდ ლეგიტიმური და კონკრეტული მიზნის პროპორციული და ადეკვატური მონაცემები.

ამავე შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა დამუშავებული მონაცემების სრულად განახლების, ნამდვილობისა და სიზუსტის საკითხიც. ბუნებრივია, რომ მხარდაჭერის მიმღებ პირებს შესაძლებელია მუდმივად ეცვლებოდეთ მხარდაჭერის ფარგლები. შესაბამისად, ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემების სიზუსტეზეა დამოკიდებული მონაცემთა სუბიექტების მიერ შესაბამის იურიდიულ მოქმედებებთან დაკავშირებული საკუთარი სამართლებრივი ურთიერთობების ჯეროვნად განხორციელების შესაძლებლობა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების შეფასებით დადგინდა, რომ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელ პირს არ ჰქონდა მიღებული ჯეროვანი ზომები მონაცემთა ბაზაში დაცული მონაცემების მყისიერად განახლებისთვის. ამასთან, მეურვეობისა და მზრუნველობის განმახორციელებელი შესაბამის დაწესებულებასთან მემორანდუმის დადების (2013 წელი) შემდგომ, უწყებას არ განუხორციელებია რაიმე კონკრეტული ღონისძიება, რათა მხარის მიერ მემორანდუმის ზედმიწევნით შესრულების ფაქტში დარწმუნებულიყო. ამას კი შეუქცევადად უარყოფითი შედეგები შეიძლებოდა გამოეწვია მხარდაჭერის მიმღები ადამიანებისთვის.

სამსახურმა მიუთითა მონაცემთა დამუშავების პრინციპზე, რომლის თანახმადაც მონაცემები ნამდვილი და ზუსტი უნდა იყოს და, საჭიროების შემთხვევაში, განახლდეს. ამასთან აღინიშნა, რომ დამუშავების პრინციპების დარღვევის რისკის

[41] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 5669-რს, 28/12/2011.

თავიდან ასარიდებლად უწყებამ უნდა მიიღოს შესაბამისი ორგანიზაციული ზომები და ჰქონდეს კომუნიკაცია კომპეტენტურ საჯარო დაწესებულებასთან, ელექტრონულ ბაზაში არსებული მონაცემების ნამდვილობისა და სიზუსტის უზრუნველყოფის მიზნით.

გარდა ამისა, შესწავლის ფარგლებში დადგინდა, რომ ელექტრონული სისტემის მომხმარებლის მიერ, მისი ფუნქციის ფარგლებში გარკვეული ქმედების განხორციელების მიზნით, ელექტრონულ ბაზაში ასახული პირის პირადი ნორმის მითითების შემთხვევაში, ქმედების განხორციელება წარუმატებლად სრულდებოდა და ეკრანზე ჩნდებოდა წარწერა („პიროვნება სასამართლოს გადაწყვეტილებით მიჩნეულია ქმედუუნაროდ“) მიუხედავად იმისა, პირი ცნობილი იყო მხარდაჭერის მიმღებად თუ აღიარებული იყო ქმედუუნაროდ ან შეზღუდულქმედუნარიანად. შესაბამისად, გადაწყვეტილებაში აღინიშნა, რომ მონაცემთა დამუშავების კანონიერებისათვის აუცილებელია ელექტრონული ბაზის იმგვარად მოდიფიცირება, რომ უფლებამოსილ მომხმარებლებს, ელექტრონულ ბაზაში ასახული პირის პირადი ნომრის მითითების შემთხვევაში, ამავე პირების თაობაზე სწორი მონაცემები მიეწოდებოდეთ.

აღნიშნული შემოწმების ფარგლებში ასევე გამოიკვეთა მონაცემთა დამუშავებაზე უფლებამოსილი პირის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების წესების დარღვევა. დადგინდა, რომ მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ელექტრონული ბაზის მეშვეობით მონაცემთა დამუშავების (მათ შორის, შენახვის) პროცესში სარგებლობდა უფლებამოსილი პირის მომსახურებით, თუმცა აღნიშნული გარემოება არ ეყრდნობოდა არც სამართლებრივ აქტს და არც კანონის შესაბამისად დადებულ ხელშეკრულებას, რაც „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით[42] გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევაა და ამავე კანონის 51-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველს წარმოადგენდა.

ამავე შემოწმების ფარგლებში გამოიკვეთა პერსონალურ მონაცემთა უსაფრთხოებასთან დაკავშირებული წესების დარღვევაც. დადგინდა, რომ პორტალის მომხმარებელთა ავტორიზაციისათვის გამოყენებულია ინდივიდუალური მომხმარებელი და პაროლი. ამასთან, პორტალს გააჩნდა მონაცემთა მიმართ განხორციელებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე. წ. „ლოგირება“), თუმცა სისტემაში აღირიცხებოდა მხოლოდ მომხმარებლის მიერ

[42] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 5669-რს, 28/12/2011.

დარეგისტრირებული იურიდიული მოქმედების შესახებ ინფორმაცია. სისტემა არ აღრიცხავდა შემდეგ მოქმედებებს: სისტემაში შესვლა/გასვლა, დოკუმენტის მოძიება, დოკუმენტის გახსნა/დათვალიერება/გადმოწერა. ამასთან, ადგილზე შემოწმებისას დადგინდა, რომ პორტალის მომხმარებელთა პაროლები ბაზაში ინახებოდა დაუშიფრავად, ღია სახით.

შემოწმებისას დადგენილი დარღვევების საფუძველზე, პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირი ცნო სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 44-ე, 46-ე და 51-ე მუხლების პირველი პუნქტებით[43] გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევების ჩადენაში და დააჯარიმა. ამასთან, სამართალდამრღვევს მიეცა შესაბამისი დავალებები და განესაზღვრა მათი შესრულების ვადები.

სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ მიერ სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნის ინფორმირება

ბავშვის პირადი და ოჯახური ცხოვრების, ღირსების, კეთილდღეობის, უსაფრთხოებისა და სხვა უფლებების დასაცავად აუცილებელია ყველა საჯარო თუ კერძო დაწესებულების მიერ კანონის მოთხოვნების ზედმიწევნით დაცვა და შესრულება. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფი არასრულწლოვნის მიმართვის საფუძველზე, მისი ინფორმირების ერთ-ერთი შემთხვევა განიხილა პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა სსიპ „სახელმწიფო ზრუნვისა და ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაზარალებულთა დახმარების სააგენტოს“ არაგეგმური შემოწმების ფარგლებში.

სამსახურში წარმოდგენილი ბავშვის მომართვა შედგენილი იყო ბრაილის შრიფტით, ხოლო შემდგომ – გადაწერილი და ხელმოწერილი მესამე პირის (არასრულწლოვნის მასწავლებლის) მიერ. შესაბამისად, ეფექტიანი რეაგირებისა და მომართვაში ასახული ნების გამოკვლევის მიზნით, სამსახურმა არ მიმართა განცხადებაზე ხარვეზის დადგენის გზას, თანამშრომლები პირადად გაესაუბრნენ ბავშვს თავის საცხოვრებელ გარემოში და დარწმუნდნენ, რომ იგი იმყოფებოდა სახელმწიფო ზრუნვაში. მომართვის შინაარსითა და არასრულწლოვანთან კომუნიკაციის შედეგად, ასევე,

[43] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 5669-რს, 28/12/2011.

დადგინდა, რომ ბავშვმა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოდან წერილობით გამოითხოვა, თუმცა ვერ მოიპოვა თავისი პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები. ზემოაღნიშნული ფაქტის კანონიერების შესწავლის ფარგლებში გამოვლინდა, რომ არასრულწლოვანი წარმოადგენდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე (უსინათლო) პირს, მისი მშობლის მიმართ კი გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი. გარდა ამისა, ბავშვის მიმართ ძალადობის ფაქტზე აღძრული იყო სისხლის სამართლის საქმე და არასრულწლოვნის უფლებებს, ორდერის საფუძველზე, ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაცია იცავდა. მითითებული საქმის ფარგლებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოში დაცული არასრულწლოვნის პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტები მოკლე ვადებში გადაეცა საქართველოს პროკურატურას, თუმცა, ანალოგიური დოკუმენტაციის გადაცემაზე ბავშვის განცხადება დაკმაყოფილდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ზემოხსენებულ არასამთავრობო ორგანიზაციას მინდობილობის საფუძველზე ბავშვის წარმომადგენლობის უფლებამოსილება მიენიჭა. აღნიშნულის გათვალისწინებით, ბავშვის მოთხოვნა 50 დღის შემდეგ დაკმაყოფილდა. განხილვის ფარგლებში მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანომ მოთხოვნილი დოკუმენტების ბავშვისთვის გადაცემის თითქმის ორი თვით დაგვიანება ახსნა არასაკმარისი ადამიანური და სხვა რესურსით, მათ შორის, უსინათლო ბავშვისთვის აღსაქმელი ფორმით (ბრაილის შრიფტით) მცირე დროში დოკუმენტაციის მომზადების შეუძლებლობითა და ბავშვისთვის დანიშნული სოციალური მუშაკის შეცვლით. ნიშანდობლივია, რომ ბავშვი საკუთარი მონაცემების შემცველი მასალების გამოთხოვის შესახებ განცხადებაშიც უთითებდა სისხლის სამართლის საქმეში თავისი უფლებების დამცველი ორგანიზაციის მისამართს, მიუხედავად იმისა, რომ მითითებული თარიღისთვის მინდობილობა არ არსებობდა.

„პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ნებისმიერ პირს აქვს უფლება, გაეცნოს საჯარო დაწესებულებაში დაცულ თავის პერსონალურ მონაცემებს და მიიღოს მათი ასლები. სამსახურმა, ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით, შეაფასა საქმის გარემოებები და მიიჩნია, რომ ინფორმირების უფლების ეფექტური რეალიზება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც საკითხი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვის კანონიერი ინტერესების უზრუნველყოფას და სხვადასხვა სამართალწარმოების ფარგლებში მისი ან/და მის მიერ არჩეული პირების კვალიფიციურ ჩართულობას შეეხება. საქმის შესწავლით დადგინდა, რომ თვალსაჩინო იყო ბავშვის რეალური და მყისიერი ინტერესი, ყოფილიყო ინფორმირებული მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს მიერ მის შესახებ სხვადასხვა სამართალწარმოებაში დამუშავებული დოკუმენტების

თაობაზე და მათ საფუძველზე დაეცვა საკუთარი ინტერესები, თუნდაც მიმდინარე სისხლის სამართლის ან/და სამოქალაქო საქმის წარმოებისას.

სამსახურმა განმარტა, რომ მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს ხელთ არსებული არასაკმარისი რესურსი ვერ გაამართლებდა შშმ ბავშვის საკუთარ პერსონალურ მონაცემებზე ხელმისაწვდომობის უფლების შეზღუდვას, რაც გამოიხატა არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვამდე ბავშვისთვის ინფორმაციის მიწოდების დაყოვნებაში. სახელმწიფო ზრუნვაში მყოფ არასრულწლოვანზე პასუხისმგებელი საჯარო დაწესებულება ჯეროვანი ყურადღებით უნდა მოჰკიდებოდა ბავშვის კანონიერ ინტერესებს და მოეძებნა პრობლემის გადაწყვეტის სხვადასხვა გზა, მაგალითად, სოციალური მუშაკის მიერ ბავშვთან აქტიური კომუნიკაციის გზით დაედგინა არასრულწლოვნის ნება და დაეზუსტებინა, ნამდვილად სურდა თუ არა მას თავის განცხადებაში მითითებულ არასამთავრობო ორგანიზაციის მისამართზე მასალების გაგზავნა, ან/და სოციალური მუშაკის ჩართულობით პირადად ბავშვისთვის გაეცნო (წაეკითხა) დოკუმენტები და მათი შინაარსი და ამ გზით მოეხდინა ბავშვის ინფორმირება და სხვა. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა მიიჩნია, რომ პერსონალური მონაცემების შემცველი დოკუმენტაციის უსინათლო ბავშვისთვის მიწოდების დაყოვნებით არაკანონიერად შეიზღუდა არასრულწლოვნის ინფორმირების უფლება, შესაბამისად, სამსახურის გადაწყვეტილებით, სააგენტო ცნობილ იქნა სამართალდამრღვევად „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის 50-ე მუხლის საფუძველზე.[44]

ერთ-ერთ რესურსსკოლაში მოსწავლეების მონაცემების დამუშავება.

რესურსსკოლა, ზოგადსაგანმანათლებლო საქმიანობას სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის ახორციელებს. შესაბამისად, ამგვარი სკოლა, მისი საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, ამუშავებს მოსწავლეების არა მხოლოდ ე. წ. „ჩვეულებრივი“ კატეგორიის, არამედ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებსაც. აღნიშნული ინფორმაციის კანონიერად დამუშავება კი, ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან არასრულწლოვნების სენსიტიური კატეგორიის მონაცემების უკანონო დამუშავებამ, შესაძლოა, ნეგატიური გავლენა იქონიოს ბავშვის ემოციურ მდგომარეობასა და მის შემდგომ განვითარებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, სამსახურმა საკუთარი ინიციატივით დაიწყო

[44] საქართველოს კანონი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“, 5669-რს, 28/12/2011.

სკოლის შემოწმება, რომელიც მოიცავდა საჯარო სკოლის მიერ ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შექმნის, შენახვის და მესამე პირებისთვის გადაცემის გზით არასრულწლოვანთა მონაცემების დამუშავების კანონიერების შესწავლას. სკოლაში არსებული პროცესების ფარგლებში მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესწავლის შედეგად, სამსახურმა დაადგინა, რომ თითოეული მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვამდე ბავშვის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროება ფასდებოდა მულტიდისციპლინური გუნდის მიერ და იქმნებოდა შესაბამისი დასკვნა, რომელიც შემდგომში ეგზავნებოდა სკოლას. დასკვნაში მითითებული იყო მოსწავლის პერსონალური, მათ შორის, განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების შემცველი ინფორმაცია. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის მიერ მოსწავლეზე დაკვირვების შედეგად მიღებული ინფორმაციისა და შეფასებების საფუძველზე, სკოლა თითოეული მოსწავლისთვის, ყოველწლიურად ქმნიდა ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას. ასევე გამოირკვა, რომ სკოლა, მაგალითად, მოსწავლეების მობილობის შემთხვევაში ამგვარ სასწავლო გეგმებს სხვა სკოლებსაც უზიარებდა. შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ მოსწავლეების პერსონალური მონაცემები ინახებოდა როგორც მატერიალური, ასევე ელექტრონული ფორმით. წვდომის უფლების მქონე პირებისთვის მონაცემების გაზიარება კი ხდებოდა ე. წ. „დრაივის“ ბმულის მეშვეობით, რომლის მოპოვების შემთხვევაში, მასზე შენახულ შესაბამის დოკუმენტებზე წვდომის შესაძლებლობა ნებისმიერ, მათ შორის, არაუფლებამოსილ პირებსაც ექნებოდათ. ამასთან, დაფიქსირდა შემთხვევა, როდესაც ე. წ. „დრაივის“ ბმულზე წვდომა ხორციელდებოდა ისეთი კომპიუტერით, რომელიც არ იყო პაროლით დაცული. აღსანიშნავია, რომ პაროლით დაუცველი კომპიუტერის შემთხვევაში, ნებისმიერ პირს ეძლევა საშუალება წვდომა მოიპოვოს კომპიუტერში დაცულ მონაცემებზე. ამგვარ პირობებში კი ვერ ხდება მონაცემთა უსაფრთხოებისთვის კანონით გათვალისწინებული აუცილებელი ზომების უზრუნველყოფა.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის უფროსის გადაწყვეტილებით, სკოლას დაევალა ელექტრონული ფორმით არსებული დოკუმენტაციის გაზიარების მიზნით ისეთი ბმულების გამოყენება, რომელთა მეშვეობით გაზიარებულ დოკუმენტ(ებ)ზე წვდომის შესაძლებლობა მიენიჭებოდათ მხოლოდ კონკრეტულ მომხმარებელ(ებ)ს. ამასთან, სკოლას დამატებით დაევალა ელექტრონული ფორმით არსებულ მონაცემებზე წვდომის მხოლოდ პაროლით დაცული კომპიუტერებიდან უზრუნველყოფა.

2.4.შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება სამართალდამცავი ორგანოების მიერ

საქართველოს პროკურატურის შემოწმების დასრულების თაობაზე გადაწყვეტილება

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურმა, პერსონალურ მონაცემთა დამუშავების კანონიერების გეგმური შემოწმების (ინსპექტირება) საფუძველზე, შეისწავლა საქართველოს პროკურატურის სისტემაში შემავალი, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის დეპარტამენტის (შემდგომში - დეპარტამენტი) მიერ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მონაცემების დამუშავების კანონიერების საკითხი. შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ დეპარტამენტის ამოცანაა, მათ შორის, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საპროკურორო საქმიანობისას გამოვლენილი დარღვევების მომავალში თავიდან აცილების მიზნით, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებისა და განჩინებების შესწავლა, ანალიზი და პროკურორებისათვის სახელმძღვანელო მითითებების შემუშავება; საპროკურორო საქმიანობის მონიტორინგი; ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებზე სტატისტიკური ინფორმაციის ანალიზი და სხვა. შესაბამისად, შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ ხსენებული ამოცანების უზრუნველსაყოფად, დეპარტამენტი ამუშავებდა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მონაცემებს. ამასთან, საქართველოს გენერალური პროკურორის 2022 წლის 4 მარტის №008 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს გენერალური პროკურატურის დებულებით დეპარტამენტისთვის დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესასრულებლად, დეპარტამენტში დასაქმებული იყო ჯამში 5 (ხუთი) თანამშრომელი (1 (ერთი) დეპარტამენტის უფროსი და 4 (ოთხი) პროკურორი).

შშმ პირთა მონაცემების დამუშავება დეპარტამენტის მიერ, დაიწყო 2021 წლიდან. კერძოდ, „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საგამოძიებო ორგანოებს დაევალათ, შეემუშავებინათ შშმ (მათ შორის, არასრულწლოვან) მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის სტანდარტები და მეთოდიკა. აღნიშნული ვალდებულების საპასუხოდ, 2021 წელს საქართველოს პროკურატურამ შეიმუშავა შშმ მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის თანდართული სტანდარტები და მეთოდიკა, ასევე შშმ არასრულწლოვან მოწმესთან, დაზარალებულსა და ბრალდებულთან მუშაობის თანდართული სტანდარტები და მეთოდიკა, რომლებიც საქართველოს გენერალური პროკურორის 2021 წლის 30 მარტის №51-გ ბრძანებით დამტკიცდა.

შემოწმების ფარგლებში პროკურატურის წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროკურატურას არ ჰქონდა დეპარტამენტის მიერ დამუშავებული შშმ პირების პერსონალური მონაცემების შენახვის კონკრეტული ვადები, რადგან ამ ფორმით მონაცემების დამუშავების პროცესი ახალი დაწყებული ჰქონდათ და მათი შენახვის საჭიროება კვლავ გააჩნდა პროკურატურას, მათ შორის, საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე. ასევე დადგინდა, რომ შშმ პირების მონაცემები მუშავდებოდა ე.წ. „ექსელის“ ფაილის სახით, რომელშიც აისახებოდა საქართველოს გენერალური პროკურორის შესაბამისი ბრძანებით დადგენილი წესის შესაბამისად, პროკურორების მიერ დეპარტამენტისთვის ელექტრონული ფოსტის მისამართზე - humanrights@pog.gov.ge გაგზავნილი მონაცემები (მონაცემები ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, რომლებშიც სისხლის სამართლის საქმეში ფიგურირებენ დაზარალებულის სტატუსის მქონე შშმ პირები, ან სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულია არასრულწლოვანი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის მიმართ), სისხლის სამართლის საქმისწარმოების ელექტრონულ პროგრამაში გადამოწმების გზით მოპოვებული ინფორმაცია და შშმ პირთა მონაწილეობით არსებული სისხლის სამართლის საქმეების შესახებ საქართველოს გენერალური პროკურატურის ანალიტიკური სამმართველოდან წერილობითი ფორმით გამოთხოვილი ინფორმაცია.

ზემოაღნიშნული ე.წ. „ექსელის“ ფაილი, პაროლით დაცული არქივის („rar“ ფორმატში) სახით, ინახებოდა დეპარტამენტის მხოლოდ საამისოდ უფლებამოსილი პროკურორის, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში განთავსებულ პერსონალურ კომპიუტერში, რომელიც დაცული იყო მომხმარებლის ავტორიზაციით. ხსენებული დოკუმენტის წარმოებაზე პასუხისმგებელი პროკურორის გარდა, ე.წ. „ექსელის“ ფაილში არსებული შშმ პირთა მონაცემები, საკუთარი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში, გარკვეული პერიოდულობით, ასევე ესაჭიროებოდა დეპარტამენტის ერთ-ერთ პროკურორს. ასეთი საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში კი მისთვის ხსენებული დოკუმენტის გაზიარება ხდებოდა ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ის კი, თავის მხრივ, აღნიშნულ დოკუმენტს ინახავდა მის სამსახურებრივ კომპიუტერში, რომელიც ასევე დაცული იყო შესაბამისი პაროლით.

სამსახურმა დაადგინა, რომ ერთიან ე.წ. „ექსელის“ ფაილს არ გააჩნია მონაცემთა მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვის ელექტრონული ჟურნალი (ე.წ. „ლოგირება“), ხოლო დეპარტამენტის იმ პროკურატურების სამსახურებრივ კომპიუტერებს, რომლებშიც ინახებოდა ზემოხსენებული ერთიანი ე.წ. „ექსელის“ ფაილი, კომპიუტერში არსებული დოკუმენტების (ე.წ. „ფაილების“) მიმართ განხორციელებული მოქმედების (დოკუმენტის გახსნა, რედაქტირება, წაშლა) აღრიცხვა არ ხდებოდა (ხსენებული კომპიუტერები აღრიცხავდა მხოლოდ მომხმარებლის ავტორიზაციის ფაქტს).

მართალია, შემოწმების ფარგლებში დადგინდა, რომ არ ხორციელდებოდა შშმ პირთა მონაცემების მიმართ შესრულებული მოქმედებების აღრიცხვა, თუმცა, საქართველოს პროკურატურას მონაცემთა უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, მიღებული ჰქონდა გარკვეული ორგანიზაციული და ტექნიკური ზომები. გარდა ზემოაღწერილი ზომებისა, დადგენილი გარემოებაა, რომ ელექტრონული ფოსტის მისამართი - humanrights@pog.gov.ge წარმოადგენდა მომხმარებლისა და პაროლის მქონე ანგარიშს, რომელიც დამატებული იყო დეპარტამენტის თანამშრომლების სამსახურებრივ კომპიუტერებში არსებულ პროგრამა „აუთლუქში“ („Outlook”), მათი პირადი სამსახურებრივი მეილის გვერდზე. აღნიშნული ელექტრონული ფოსტის ანგარიშის (humanrights@pog.gov.ge) პაროლი ცნობილი იყო მხოლოდ დეპარტამენტის თანამშრომლებისათვის. სამსახურებრივ კომპიუტერებში დაყენებული იყო მაიკროსოფტის („Microsoft“) ლიცენზირებული ოპერაციული სისტემები. ამასთან, სამსახურებრივი კომპიუტერების პაროლების შეცვლა სავალდებულო იყო 6 (ექვსი) თვეში ერთხელ. ამასთან, პაროლად არ შეიძლება დაყენებულიყო წინა პაროლი და სხვა. ტექნიკური ზომების პარალელურად, პროკურატურაში გატარებული იყო ორგანიზაციული უსაფრთხოების ღონისძიებებიც, კერძოდ, საქართველოს გენერალური პროკურატურის ადმინისტრაციულ შენობაში პირთა დაშვება ხდება სპეციალური სამსახურებრივი მოწმობით ან საშვით, შენობა აღჭურვილია სამეთვალყურეო კამერებით.

განსახილველ შემთხვევაში, სამსახურმა განმარტა, რომ მონაცემთა უსაფრთხოებისთვის მიღებული ზომები იძლეოდა მონაცემთა სავარაუდო უკანონო დამუშავების შემთხვევაში პასუხისმგებელი პირის იდენტიფიცირების საშუალებას, თუმცა ვერ აზღვევდა ელექტრონულ საშუალებაში დაცული მონაცემების უკანონო დამუშავების რისკებს. ასევე, მიუთითა, რომ მონაცემთა უკანონო დამუშავების რისკების მინიმუმამდე შესამცირებლად, მნიშვნელოვანია, პროკურატურამ გაატაროს ისეთი ღონისძიებები, რომლებითაც უზრუნველყოფილი იქნება შშმ პირების ელექტრონული ფორმით არსებული მონაცემების მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა.

რაც შეეხება დამუშავებული მონაცემების შენახვის ვადებს, აღნიშნულთან მიმართებით სამსახურმა განმარტა, რომ მონაცემთა შენახვის ვადების განსაზღვრა არსებითად მნიშვნელოვანია, რათა კანონის შესაბამისად, მხოლოდ დასახული მიზნების შესაბამისი დროის ინტერვალში იყოს უზრუნველყოფილი მონაცემთა შენახვა და შემდეგ მოხდეს მათი წაშლა. აღნიშნული ვადის კონკრეტულად განსაზღვრა, ასევე, აუცილებელია მონაცემთა სუბიექტების უფლებასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის კანონიერ ინტერესებს შორის ბალანსის დაცვის უზრუნველსაყოფად.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურატურას მიეცა შესასრულებლად სავალდებულო 2 (ორი) დავალება, რათა უზრუნველეყო მონაცემთა მიმართ შესრულებული ყველა მოქმედების აღრიცხვა და განესაზღვრა ზემოხსენებულ პროცესში დამუშავებული შშმ პირების მონაცემების შენახვის ვადები და ამ ვადის გასვლის შემდგომ განსახორციელებელი ქმედებების თაობაზე ინფორმაცია.

2.5. გამოწვევები შშმ პირების პერსონალური მონაცემების დამუშავებაში

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, შშმ პირის სტატუსი მის მენტალური ან ფიზიკურ ჯანმრთელობის მდგომარეობას უკავშირდება. ამდენად, შშმ პირის სტატუსის შესახებ მონაცემების დამუშავება არის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება. შესაბამისად, დამუშავების კანონიერებისთვის აუცილებელია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 და მე-6 მუხლების დაცვა;

დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირები განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოეკიდონ შშმ პირთა მონაცემების დამუშავებას და გადაწყვეტილებების მიღებისას სუბიექტების საუკეთესო ინტერესები გაითვალისწინონ.

აღსანიშნავია, რომ შშმ პირების შემთხვევაში, პროაქტიული ინფორმირების სტანდარტი არსებითად განსხვავებულ მეთოდებს და მიდგომებს საჭიროებს, რათა მათთვის გასაზიარებელი ინფორმაცია აკმაყოფილებდეს მისაწვდომობის სტანდარტებს. მაგალითად, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, აუდიომონიტორინგისა და ვიდეომონიტორინგის მიმდინარეობის შესახებ აუცილებელია, თვალსაჩინო ადგილზე განთავსდეს გამაფრთხილებელი ნიშანი, შესაბამისი წარწერით. საგულისხმოა, რომ ყველა შემთხვევაში შესაძლებელია, ვერ იქნეს უზრუნველყოფილი შშმ პირების სათანადო ინფორმირება. შესაბამისად, დაწესებულებებს, რომელთა ძირითად ვიზიტორებსაც შშმ პირები წარმოადგენენ, მონაცემების მიმდინარე დამუშავების თაობაზე სათანადო ფორმით მათი ინფორმირების ვალდებულება გააჩნიათ.

შშმ მონაცემთა სუბიექტების მიერ ინფორმირების ან მონაცემთა სუბიექტის სხვა უფლებებით სარგებლობისას, მონაცემთა დამუშავებაზე პასუხისმგებელმა პირებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მიწოდებული დოკუმენტაციისა თუ ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. მაგალითად, უსინათლო მონაცემთა სუბიექტებს უმჯობესია, დოკუმენტები მიეწოდოთ ადვილად წაკითხვად ელექტრონულ

ფორმატში, ასევე, სასურველია ვებგვერდებზე არსებული მონაცემთა დამუშავების წესები და პირობები, მზა ჩანაწერების შესახებ საინფორმაციო ჩანაწერები და სხვა ხელმისაწვდომი იყოს ხმოვანი ვერსიის სახითაც.

ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის, სხვადასხვა ელექტრონული აპლიკაციის შემუშავების პროცესში, მაგალითად ავტორიზაციისთვის, ავთენტიფიკაციისთვის საჭირო მონაცემების მოცულობის შერჩევისას, ყოველთვის აუცილებელია შშმ პირების მონაცემების დამუშავების მიმართ სპეციფიკური მიდგომის გათვალისწინება. აღნიშნული მნიშვნელოვანია დისკრიმინაციისგან მათ დასაცავად. მაგალითად, მხოლოდ თითის ანაბეჭდით ავტორიზაციის შესაძლებლობა, გარკვეული ფაქტორით გამოწვეული შესაძლებლობის შეზღუდვის მქონე ადამიანების კონკრეტული სერვისებიდან გარიყვას შეიძლება იწვევდეს და მათთვის დისკრიმინაციულ გარემოს ქმნიდეს.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს მონაცემების სიზუსტეს, მოძველებული მონაცემების განახლებას. შშმ პირის სტატუსი ყოველთვის მუდმივ და უვადო მონაცემს არ წარმოადგენს. შესაბამისად, მონაცემთა სუბიექტების დისკრიმინაციის წინაპირობების შესამცირებლად, სტიგმატიზებისგან მათ დასაცავად, მნიშვნელოვანია, დამუშავებული მონაცემები მუდმივად პასუხობდეს სიზუსტის მოთხოვნებს.

შშმ პირებისთვის საკუთარი პერსონალური მონაცემების დაცვა, საზოგადოებაში არსებული დაბალი ცნობიერების გათვალისწინებით, გარკვეულ სირთულეს წარმოადგენს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია საზოგადოების როლი. უკანონო ფაქტებზე სამსახურისთვის მომართვის ან/და სხვა გზით რეაგირების თვალსაზრისით. აგრეთვე, განსაკუთრებული პასუხისმგებლობა მართებთ მათზე მზრუნველ სახელმწიფო დაწესებულებებს, მხარდამჭერებს, მზრუნველებს თუ დავალების ხელშეკრულებით დაკავშირებულ პირებს.

საგულისხმოა, რომ „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონი ითვალისწინებს ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებას. ხოლო, ცალკეულ შემთხვევაში, აკრძალულია, გადაწყვეტილების მიღება მხოლოდ ავტომატიზებული საშუალებით. ამასთან, კანონი განსაზღვრავს გამონაკლის შემთხვევებს, როცა გადაწყვეტილება მხოლოდ ავტომატიზებული საშუალებით მიიღება. ორივე შემთხვევაში მნიშვნელოვანია, რომ შესაბამისი დაწესებულების მიერ ელექტრონული სისტემის ლოგიკის შემუშავებისა და ამავე სისტემის მეშვეობით პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში, გათვალისწინებულ იქნას შშმ პირებთან დაკავშირებული გარემოებები, რათა მონაცემების დამუშავების პროცესითა

და აღნიშნულის შედეგად, ავტომატიზებული ინდივიდუალური გადაწყვეტილების მიღებით (მითუმეტეს მაშინ, თუ ის კონკრეტულ სოციალურ პროგრამებში მონაწილეობასა და გარკვეული დახმარების მიღებას შეეხება) არ მოხდეს მათი სტიგმატიზაცია და დისკრიმინაციულ მდგომარეობაში ჩაყენება.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მონაცემთა უსაფრთხოების ზომებს მონაცემთა იმგვარი ელექტრონული ბაზების შექმნისას, რომლებშიც, ძირითადად, შშმ პირების მონაცემები მუშავდება. მიზანშეწონილია, ამგვარ ბაზებში გამოყენებული იქნეს ფსევდონიმიზაციის და სხვა იმგვარი მეთოდები, რაც მონაცემების მიმართ უსაფრთხოების პრინციპის დარღვევის რისკებს მინიმუმამდე დაიყვანს.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ოფიცრები ფლობდნენ შესაბამის ინფორმაციას შშმ პირთა მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებული სპეციფიკის თაობაზე. თავის მხრივ, მათი მხრიდან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის, დამუშავებაზე უფლებამოსილი პირისა და მათი თანამშრომლების სათანადო ინფორმირება, კონსულტაციის გაცემა და მეთოდური დახმარების გაწევა, შშმ პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში უკანონო ქმედებების პრევენციის ხელშემწყობი გარემოება.

3. შშმ პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავების საერთაშორისო პრაქტიკა

3.1. საერთაშორისო სასამართლოების პრაქტიკის მიმოხილვა

3.1.1. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ("ECtHR") შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული საქმეების საინტერესო პრაქტიკით გამოირჩევა. თითოეულ საქმეში ყურადღება მახვილდება პირთა აღნიშნული წრის მოწყვლადობასა და მათი გაძლიერებული დაცვის საჭიროებაზე. ჯანმრთელობის მდგომარეობის პატივისცემა არსებით პრინციპს წარმოადგენს კონვენციის ხელშემკვრელ მხარეთა სამართლებრივ სისტემებში. ამგვარი მონაცემების გამჟღავნებამ შეიძლება, საზიანო გავლენა იქონიოს ადამიანის პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლებაზე. გასათვალისწინებელია, რომ სასამართლო ხშირად მიუთითებს „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ" გაეროს კონვენციაზე და დასაბუთებისას ეყრდნობა კონვენციის პრინციპებს. წინამდებარე თავის ფარგლებში წარმოდგენილია საქმეები ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ, რაც წარმოაჩენს "ECtHR"-ის ერთგვაროვან მიდგომებს, მათ შორის, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებთან მიმართებით.

საქმეში "*Mockutė v. Lithuania*"[45] მომჩივანი აცხადებდა, რომ ფსიქიატრიული დაწესებულების ექიმმა ჟურნალისტს და მის დედას გაუმჟღავნა მისი ჯანმრთელობისა და პირადი ცხოვრების შესახებ ინფორმაცია. სასამართლომ მითითებულ საქმეში, გარდა სხვა დარღვევებისა, დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა, რადგან მომჩივნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა არ იყო „კანონით გათვალისწინებული".[46]

"Vukota-Bojic v. Switzerland"[47]-ის საქმეში არსებული ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მომჩივანმა ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად შეზღუდული

---

[45] ECtHR, Case of Mockutė V. Lithuania, Appl. No. 66490/09, 27 February 2018, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-181202> [23.06.2024].

[46] The Rights of Persons with Disabilities in the Case-law of the European Court of Human Rights, Branko Lubarda, 2021, <https://www.europedeslibertes.eu/app/uploads/2021/04/1-Rights-of-Persons-with-Disabilities_Lubarda-Eur-RL-202113.pdf> [23.06.2024].

[47] ECtHR, Case oF Vukota-Bojić V. Switzerland, Appl. No. 61838/10, 18 October 2016,

შესაძლებლობის გამო მოითხოვა პენსია. პენსიის რაოდენობისა და ხანგრძლივობის თაობაზე მრავალწლიანი დავის შემდეგ, მზღვეველმა მოსთხოვა მომჩივანს ხელახალი სამედიცინო შემოწმების ჩატარება, რათა მიეღო მტკიცებულება მისი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. უარის თქმის შემდეგ, მზღვეველმა დაიქირავა პირადი გამომძიებელი, რათა ჩუმად განეხორციელებინა თვალთვალი მომჩივანზე. ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებები წარდგენილი იქნა სასამართლოზე, რაც გახდა მომჩივნის პენსიის შემცირების საფუძველი. მომჩივნის თქმით, დაირღვა მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დარღვევას. სასამართლოს შეფასების თანახმად, მომჩივანზე განხორციელებული მეთვალყურეობა საჯარო ადგილებში მიიჩნევა მომჩივნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობაში ჩარევად, რამდენადაც გამომძიებლები ახორციელებდნენ მომჩივნის პერსონალური მონაცემების მოპოვებასა და შენახვას სისტემატურად, კონკრეტული მიზეზით. ამდენად, სასამართლომ დაადგინა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევა.[48]

ევროპულმა სასამართლომ საქმეში *"L.H. v. Latvia"* [49] იმსჯელა სახელმწიფო სააგენტოს მიერ მომჩივნის პირადი სამედიცინო მონაცემების მოპოვების მართლზომიერებაზე. ამგვარი ინფორმაციის შეგროვება ხორციელდებოდა მომჩივნის თანხმობის გარეშე. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დაცვის მნიშვნელობაზე პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების კონტექსტში. სასამართლომ მიუთითა ეროვნული კანონმდებლობის ხარვეზზე, რომლის შესაბამისადაც არ არსებობდა მკაფიო მითითება სამედიცინო მონაცემების შეგროვების სტანდარტების თაობაზე. ასევე, არ ფასდებოდა ინფორმაციის მოპოვების საჭიროება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.[50]

საქმე *"I v. Finland"*,[51] შეეხებოდა სამედიცინო დაწესებულების თანამშრომელთა მხრიდან მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებულ ჩანაწერებზე წვდომას. სასამართლომ აღნიშნა, რომ ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ

<https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-167490> [23.06.2024].

[48] ECtHR, Factsheet – Personal data protection, February 2024, 24, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/FS_Data_ENG?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR3jImOCTyW6hfBbz-9neVaeSghLZ0K8qcF54l6oEM60LfV1lyps95rKLXc_aem_QdZpHlRBiR1sisa7kzQAtQ> [23.06.2024].

[49] ECtHR, L.H. v. Latvia, Appl. No.52019/07, April 2014, <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=002-9365> [24.06.2024].

[50] ECtHR, Factsheet – Personal data protection, February 2024, 4, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/FS_Data_ENG?fbclid=IwZXh0bgNhZW0CMTAAAR3jImOCTyW6hfBbz-9neVaeSghLZ0K8qcF54l6oEM60LfV1lyps95rKLXc_aem_QdZpHlRBiR1sisa7kzQAtQ> [24.06.2024].

[51] ECtHR, Case of I V. Finland, Appl. No. 20511/03, 17 July 2008, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=001-87510> [24.06.2024].

ჰოსპიტლის ფაილური რეესტრის სისტემა არ იძლეოდა პაციენტთა შესახებ ჩანაწერების გამოყენების რეტროაქტიულად დადგენის საშუალებას. სასამართლოს შეფასების თანახმად, ჰოსპიტალში არსებული ჩანაწერთა სისტემა არ შეესაბამებოდა ეროვნული კანონმდებლობის მოთხოვნებს. შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.[52]

ინდივიდის ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დაცვა საჭიროა სისხლისსამართლებრივი გამოძიების პროცესშიც. ამ მიზნით, სახელმწიფოებმა უნდა დაიცვან ბალანსი ადამიანის პირადი ცხოვრების პატივისცემის უფლებასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და უსაფრთხოების დაცვას შორის. საქმე *"Avilkina and others v. Russia"*[53] შეეხებოდა იეჰოვას მოწმეთა პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებს. მას შემდეგ, რაც იეჰოვას მოწმეებმა უარი განაცხადეს სისხლის გადასხმაზე, სახელმწიფო სამედიცინო დაწესებულებამ პროკურატურას გაუმჟღავნა მათი სამედიცინო ჩანაწერების შესახებ მონაცემები. ამავდროულად, მონაცემთა სუბიექტებს არ ჰქონდათ აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია და შესაბამისად, არ განუცხადებიათ თანხმობა. სახელმწიფოს ცალკეული ქმედებები მოიცავდა იეჰოვას მოწმეთა უფლებაში არამართლზომიერ ჩარევას. სასამართლომ განმარტა, რომ კონფიდენციალური სამედიცინო ინფორმაციის შეგროვება წინააღმდეგობაში მოდის კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებულ უფლებასთან, ამდენად, დადგინდა კონვენციის დარღვევა.[54]

სასამართლომ კონვენციის მე-8 მუხლის კიდევ ერთი დარღვევა დაადგინა საქმეში *"Z. v. Finland".*[55] საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, ბრალდებულმა მომჩივანი დაინფიცირა აივ-ინფექციით. სასამართლო საქმისწარმოების პროცესში გამჟღავნდა მომჩივნის დაინფიცირებისა და მენტალური მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, მიუხედავად მისი თანხმობის არარსებობისა. სასამართლომ ყურადღება გაამახვილა ინდივიდის სამედიცინო ინფორმაციის კონფიდენციალობის მნიშვნელობაზე.

---

[52] მონაცემთა დაცვის ევროპული სამართლის სახელმძღვანელო, 2018, 190-191, <https://www.echr.coe.int/documents/d/echr/Handbook_data_protection_KAT> [24.06.2024].

[53] ECtHR, CASE OF AVILKINA AND OTHERS v. RUSSIA, Appl. No. 1585/09, 6 June 2013, <https://hudoc.echr.coe.int/fre?i=001-120071> [29.06.2024].

[54] The Right to Privacy and Data Protection in European Healthcare Systems with an Emphasis on the Relevant Case Law and European Legislation, Ema Turnšek, 12, <file:///C:/Users/ntsagareishvili/Desktop/4241-Article%20Text-12172-1-10-20240421.pdf> [29.06.2024].

[55] ECtHR, Z v. Finland, Appl. No. 22009/93, 25.02.1997, <https://hudoc.echr.coe.int/eng?i=002-9432> [29.06.2024].

აღინიშნა, რომ ეროვნული კანონმდებლობა უნდა ითვალისწინებდეს შესაბამის გარანტიებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვის უზრუნველსაყოფად.[56]

საქმეში *"Surikov v. Ukraine"*[57] მომჩივანს წარმოადგენს პირი, რომელმაც დაასრულა ტექნოლოგიური საინჟინრო ფაკულტეტი და მუშაობდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ კომპანიაში. მუშაობიდან 7 წლის შემდეგ, მომჩივანმა სთხოვა კომპანიის დირექტორს ინჟინრის პოზიციაზე გადაყვანა, რისთვისაც გააჩნდა შესაბამისი კვალიფიკაცია. 3 წლის განმავლობაში, მომჩივანს აღნიშნულთან დაკავშირებით რაიმე სახის უკუკავშირი არ მიუღია. მან კვლავ შეიტანა განაცხადი პოზიციაზე დანიშვნასთან დაკავშირებით, თუმცა ისევ ეთქვა უარი. მომჩივანმა საჩივრით მიმართა სასამართლოს. საკითხის განხილვისას კომპანიამ გაამჟღავნა, რომ მათი უარი უკავშირდებოდა მომჩივნის მენტალურ ჯანმრთელობას, რომლის შესახებაც ინფორმაცია მოპოვებული იქნა მისი პირადი საქმის მასალებიდან. აღნიშნულ მასალებში იკვეთებოდა, რომ მას ჰქონდა ფსიქიკური აშლილობა. ევროპულმა სასამართლომ მიუთითა, რომ ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია წარმოადგენს მეტად სენსიტიურ პერსონალურ მონაცემს. ამდენად, ამგვარი მონაცემების ნებისმიერი შეგროვება, შენახვა, გამჟღავნება და სხვა ტიპის დამუშავება ექცევა კონვენციის მე-8 მუხლის ფარგლებში. მომჩივნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში ჩარევა განხორციელდა საჯარო ხელისუფლების მხრიდან, რამდენადაც კომპანია წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას. სასამართლოს განმარტების თანახმად, მონაცემთა დაცვის ძირითადი პრინციპები მოითხოვს მონაცემთა შეგროვების მიზანთან მიმართებით პროპორციულობის დაცვას. ამ თვალსაზრისით, დასაქმებული პირის სენსიტიური სამედიცინო ინფორმაციის შენახვა კონვენციის მე-8 მუხლის შესაბამისად კანონიერი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ იარსებებდა ამ მონაცემების დაცვის შესაბამისი გარანტიები. კერძოდ, აღნიშნული მონაცემები უნდა შენახულიყო მკაცრად კონფიდენციალური ფორმით და არ უნდა გამოყენებულიყო შეგროვებისგან განსხვავებული მიზნით. მოცემულ საქმეში, სასამართლომ მიიჩნია, რომ კომპანიის ჩარევა მომჩივნის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებაში არ იყო პროპორციული და აუცილებელი. ამდენად,

[56] The Right to Privacy and Data Protection in European Healthcare Systems with an Emphasis on the Relevant Case Law and European Legislation, Ema Turnšek, 13, <file:///C:/Users/ntsagareishvili/Desktop/4241-Article%20Text-12172-1-10-20240421.pdf> [29.06.2024].

[57] ECtHR, Case of Surikov v. UKRAINE, Appl. No. 42788/06, 26 January 2017, <https://hudoc.echr.coe.int/eng/?i=001-170462> [29.06.2024].

მომჩივნის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის გამჟღავნებით დაირღვა კონვენციის მე-8 მუხლი.[58]

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ნათლად წარმოაჩენს ევროპული სასამართლოს მიდგომას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ. ცალსახაა, რომ იგი საჭიროებს გაძლიერებულ დაცვას, რამდენადაც ამ მონაცემების უკანონო დამუშავებამ, შეიძლება, გამოუსწორებელი ზიანი მიაყენოს მონაცემთა სუბიექტს. აღნიშნულ საკითხთან მიმართებით, მეტად საყურადღებოა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დაცვა, მათი მოწყვლადობის გათვალისწინებით.

3.1.2. ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს პრაქტიკა

ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლომ ("CJEU") არაერთ საქმეში გაამახვილა ყურადღება განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების მნიშვნელობაზე. "ECtHR"-ის მსგავსად, "CJEU" ყურადღებას ამახვილებს ამ მონაცემების სენსიტიურ ბუნებაზე და განსაკუთრებული დაცვის საჭიროებაზე.

"CJEU"-მ საქმეში *"ZQ v Medizinischer Dienst der Krankenversicherung Nordrhein, Körperschaft des öffentlichen Rechts"*[59] ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ იმსჯელა. "CJEU"-მ ხაზგასმით აღნიშნა, რომ განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დასამუშავებლად უნდა არსებობდეს "GDPR"-ის მე-6 და მე-9 მუხლებით განსაზღვრული შესაბამისი სამართლებრივი საფუძველი. სასამართლომ, ასევე, განმარტა, რომ განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დამუშავების შეზღუდვები, "GDPR"-ის მე-9 (2)(h) მუხლის თანახმად, არ ვრცელდება იმ შემთხვევაში, თუ დამუშავება აუცილებელია პრევენციული მედიცინის ან შრომითი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე — კერძოდ, დასაქმებულის სამუშაო შესაძლებლობების შესაფასებლად, სამედიცინო დიაგნოზის დასასმელად, ჯანდაცვის ან სოციალური დაცვის

[58] The Right to Privacy and Data Protection in European Healthcare Systems with an Emphasis on the Relevant Case Law and European Legislation, Ema Turnšek, 15, <file:///C:/Users/ntsagareishvili/Desktop/4241-Article%20Text-12172-1-10-20240421.pdf> [29.06.2024].

[59] CJEU, Judgment of the Court (Third Chamber) of 21 December 2023, ZQ v Medizinischer Dienst der Krankenversicherung Nordrhein, Körperschaft des öffentlichen Rechts. Request for a preliminary ruling from the Bundesarbeitsgericht. Case C-667/21, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/en/TXT/?uri=CELEX:62021CJ0667> [30.06.2024].

უზრუნველსაყოფად, ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის სფეროსა და შესაბამისი მომსახურების სამართავად და ა. შ.[60]

"CJEU"-მ დაადგინა, რომ "GDPR"-ის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის "h" ქვეპუნქტით გათვალისწინებული განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამუშავების აკრძალვის გამონაკლისის ჩამონათვალი უნდა განიმარტოს შემდეგნაირად: აკრძალვის გამონაკლისი გამოიყენება იმ შემთხვევებში, როდესაც სამედიცინო მომსახურების ორგანო ამუშავებს მონაცემებს მისი ერთ-ერთი თანამშრომლის ჯანმრთელობის შესახებ, არა როგორც დამსაქმებელი, არამედ როგორც სამედიცინო მომსახურების მიმწოდებელი ორგანო. ბუნებრივია, იმ პირობით, რომ დამუშავება უნდა აკმაყოფილებდეს "GDPR"- ის 9(2)(თ) მუხლით დადგენილ მოთხოვნებს; მათ შორის, აუცილებელია, რომ მონაცემები მუშავდებოდეს იმ პირის მიერ ან მისი ზედამხედველობით, რომელსაც აქვს პროფესიული საიდუმლოს შენახვის ვალდებულება ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის ან კომპეტენტური ეროვნული უწყების მიერ დადგენილი წესების თანახმად; ან სხვა პირის მიერ, რომელსაც აქვს კონფიდენციალობის ვალდებულება ევროკავშირის ან წევრი სახელმწიფოს კანონის ან კომპეტენტური ეროვნული უწყებების მიერ დადგენილი წესების თანახმად. "CJEU"-მ, ასევე, განმარტა, რომ "GDPR"-ის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტი თავისთავად არ ავალდებულებს დამუშავებისთვის პასუხისმგებელ პირს, დააწესოს კონკრეტული შეზღუდვები კოლეგების ჯანმრთელობის მონაცემებზე წვდომის შესახებ.[61]

ზემოაღნიშნულ საქმეში, "CJEU"-მ, ასევე, განმარტა, რომ "GDPR"-ის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის "h" ქვეპუნქტის თანახმად, ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების დამუშავება უნდა შეესაბამებოდეს არა მხოლოდ ამავე მუხლით დადგენილ მოთხოვნებს, არამედ მონაცემთა დამუშავების კანონიერების ერთ-ერთ საფუძველს, რომელიც განსაზღვრულია "GDPR"-ის მე-6 მუხლის პირველი პუნქტით.[62]

"T v Vyriausioji tarnybinės etikos komisija"[63] საქმეში "CJEU"-მ "GDPR"-ის მე-9 (1) მუხლის შესაბამისად, აღნიშნა, რომ იმ პერსონალური მონაცემების დამუშავება, რომლებიც არაპირდაპირ ამჟღავნებს ფიზიკური პირის, მათ შორის, ჯანმრთელობის

---

[60] DataGuidance, EU: CJEU issues judgment on sensitive data processing and compensation under GDPR, <https://www.dataguidance.com/news/eu-cjeu-issues-judgment-sensitive-data-processing-and> [30.06.2024].
[61] იქვე.
[62] იქვე.
[63] CJEU, Judgment of the Court (Grand Chamber), 1 August 2022, <https://curia.europa.eu/juris/document/document.jsf?text=&docid=263721&pageIndex=0&doclang=en&mode=lst&dir=&occ=first&part=1&cid=1884161> [30.06.2024].

მდგომარეობის შესახებ ინფორმაციას, ექცევა ამავე მუხლის პირველი ან მე-2 პუნქტის მოწესრიგების ფარგლებში. სასამართლოს განმარტებით, სოციალური მედიის ვებგვერდებზე ფოტოსურათის გამოქვეყნებით, შეიძლება, ვლინდებოდეს "GDPR"-ის მე-9 მუხლით დაცული პერსონალური ინფორმაცია. დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა მიზანშეწონილია, განიხილონ დამუშავების ოპერაციის კონტექსტი და შეაფასონ, თუ რამდენად არსებობს მონაცემთა დამუშავებით ნებისმიერი სახის სენსიტიური ინფორმაციის გამოაშკარავების ალბათობა.[64]

"Bodil Lindqvist"-ის[65] საქმე შეეხებოდა ინტერნეტგვერდზე ადამიანების იდენტიფიცირებას სხვადასხვა საშუალებებით. მითითება კეთდებოდა იმ ფაქტზე, რომ პიროვნებამ დაიზიანა ფეხი და მუშაობდა ნახევარ განაკვეთზე სამედიცინო ჩვენების გამო. სასამართლომ იმსჯელა პირის ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის მახასიათებლებზე და დაადგინა, რომ ინფორმაცია, რომელიც ასახავს ჯანმრთელობის მდგომარეობას, წარმოადგენს ჯანმრთელობის შესახებ პერსონალურ მონაცემს.[66]

"CJEU"-ს პრაქტიკიდან გამომდინარე, აღსანიშნავია, რომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირებმა მონაცემთა სუბიექტების პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, განსაკუთრებული სიფრთხილე უნდა გამოიჩინონ სენსიტიური ინფორმაციის, მათ შორის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან მიმართებით და მიიღონ შესაბამისი ზომები მათი ჯეროვნად დაცვის უზრუნველსაყოფად.

3.2.საზღვარგარეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოთა პრაქტიკა

მონაცემთა დაცვის ევროპული საზედამხედველო ორგანოების პრაქტიკაში შშმ პირთა, როგორც მონაცემთა მოწყვლად სუბიექტთა უფლებების დაცვა, ორი ძირითადი მიმართულებით განიხილება. პირველი, როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი არღვევს ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით" ("GDPR") განსაზღვრულ მოთხოვნებს, რაც იწვევს შშმ პირთა უფლებების დარღვევას, ხოლო

[64] Inside Privacy, Special Category Data by Inference: CJEU significantly expands the scope of Article 9 GDPR, <https://www.insideprivacy.com/eu-data-protection/special-category-data-by-inference-cjeu-significantly-expands-the-scope-of-article-9-gdpr/> [30.06.2024].

[65] CJEU, Case C-101/01, Criminal proceedings against Bodil Lindqvist, 6 November 2003, <https://eur-lex.europa.eu/legal-content/EN/TXT/?qid=1512480526556&uri=CELEX:62001CJ0101> [30.06.2024].

[66] Ibid., §49-51.

მეორე, როდესაც მონაცემთა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი შშმ პირთან კომუნიკაციისას არღვევს მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას. ორივე შემთხვევაში აღსანიშნავია რომ საზედამხედველო ორგანოები თანაბრად განიხილავენ რეგულაციის დარღვევის სერიოზულობას შშმ პირთათვის და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვის განსაკუთრებულ აუცილებლობას.

ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკა:

ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ საჯარო ამოცანების განსახორციელებლად საჯარო დაწესებულებამ ძირითად პროფესიულ მიზნებთან ერთად, უპირველესად, უნდა დაიცვას მონაცემთა სუბიექტის უფლებები. აღნიშნულ საქმეში საჯარო დაწესებულებამ გამოაქვეყნა იმ ორგანიზაციების ფინანსური შემოწმების ინფორმაცია, სადაც მიზნობრივად დასაქმებული იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები. დოკუმენტში მოცემული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია, რაც საზედამხედველო ორგანოს შეფასებით, არ წარმოადგენდა ორგანიზაციათა ფინანსური შემოწმების მიზნებისთვის საჭირო ინფორმაციას, რომელიც საჯაროდ უნდა გამოქვეყნებულიყო ფინანსურ ანგარიშთან ერთად.[67]

ბელგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ შეისწავლა დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის დამუშავების პროცესები. შედეგად მან დაადგინა, რომ დასაქმებული პირისთვის შშმ პირის სტატუსის მინიჭების შესახებ ცნობის დაწესებულებაში დასაქმებული ყველა პირისთვის ხელმისაწვდომი ფორმით ატვირთვა სამსახურის მონაცემთა ბაზაში, არღვევდა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის“ მოთხოვნებს.[68]

გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკა:

[67] Decision of DPA (Belgium), <https://gdprhub.eu/index.php?title=APD/GBA_(Belgium)_-_72/2021> [30.06.2024].

[68] Decision of DPA (Belgium), <https://gdprhub.eu/index.php?title=APD/GBA_(Belgium)_-_115/2022> [30.06.2024].

საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, დიდი ბრიტანეთის ჯანდაცვის ყოფილ მრჩეველს ჰქონდა პაციენტის სამედიცინო ჩანაწერებზე არალეგალური წვდომა, რის გამოც იგი სამართალდამრღვევად იქნა ცნობილი. კერძოდ, მას წვდომა ჰქონდა იმ პაციენტების (14 პირი) სამედიცინო ჩანაწერებზე, რომლებსაც იგი პირადად იცნობდა. აღნიშნული განხორციელდა არასამსახურებრივი მიზნით და ამის შესახებ არც უწყება იყო ინფორმირებული. საქმე შეეხებოდა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ, განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემებს. ზემოაღნიშნულმა ფაქტმა მსხვერპლ პაციენტებში შეშფოთება გამოიწვია, რის გამოც ზოგიერთმა ექიმთან ვიზიტზეც კი განაცხადა უარი. ჯანდაცვის ყოფილმა მრჩეველმა აღიარა, რომ პერსონალურ მონაცემებს კანონმდებლობის დარღვევით მოიპოვებდა. შესაბამისად, მას პაციენტებისათვის კომპენსაციის გადახდა დაეკისრა.[69]

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკა:

კატალონიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ შეისწავლა სარეაბილიტაციო ცენტრის მოქმედებები და დაადგინა, რომ ცენტრმა თავის ბენეფიციარებსა და ოჯახის წევრებს ღია ელექტრონული ფოსტის საშუალებით გაუგზავნა სხვადასხვა შინაარსის შეტყობინებები, რომლებიც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებებს და მკურნალობას შეეხებოდა. საზედამხედველო ორგანომ აღნიშნული შეაფასა კონფიდენციალობის პრინციპის დარღვევად, რადგან დამუშავებისთვის პასუხისმგებელმა პირის ქმედებად გამოიწვია მონაცემთა სუბიექტების იდენტიფიცირება და ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ მონაცემების მათთან დაკავშირება.[70]

ესპანეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ სამუშაო გასაუბრების გამოკითხვის მიზნებისთვის, სხვა მონაცემებთან ერთად, ფიზიკურ პირთა ეთნიკურობისა და შეზღუდული შესაძლებლობის მონაცემთა დამუშავება არ მიიჩნია სამეცნიერო კვლევის მიზნებისთვის დამუშავებად და დაადგინა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა. საზედამხედველო ორგანომ განმარტა, რომ სამეცნიერო კვლევის მიზანში არ მოიაზრება ფიზიკურ პირთა შეზღუდული შესაძლებლობის შესახებ მონაცემთა დამუშავება გამოკითხვის

[69] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, მსოფლიო პრაქტიკა, აგვისტო/2022.

[70] Decision of DPA (Spain), <https://gdprhub.eu/index.php?title=APDCAT_(Catalonia)_-_PS_57/2023> [30.06.2024].

მიზნებისთვის, რომელსაც ჰქონდა მკაფიო მიზანი, შეეფასებინა კონკრეტული პოზიციისთვის შრომისუნარიანი პირების რაოდენობა.[71]

იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკა:

სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე, როდესაც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი უშვებს შეცდომას მონაცემთა დამუშავების პროცესში და აღნიშნული, რა ფორმითაც არ უნდა იყოს გამოხატული, არღვევს შშმ პირი მონაცემთა სუბიექტის უფლებებს. იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ სკოლის ვებგვერდზე არასრულწლოვანთა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საჭიროებების) შემცველი ფაილის არასწორად გამოქვეყნება და შემდეგ წაშლა, მიუხედავად არასწორი ფაილის შესაბამისი ფაილით ჩანაცვლებისა, წარმოადგენდა მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის მე-5, მე-6 და მე-9 მუხლების დარღვევას. მსგავსი ინფორმაციის გამოქვეყნებისას, დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი ვალდებულია, შეამოწმოს ფაილის შიგთავსი, რომელსაც საჯაროდ აქვეყნებს.[72]

იტალიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ფიზიკური პირის „ფეისბუქ“ გვერდის საშუალებით მონაცემთა დამუშავება არ მიიჩნია პირადი მიზნით დამუშავებად, რადგან აღნიშნულ გვერდზე გამოქვეყნებულ ფოტოზე გამოსახული იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბიჭი, რომელიც საუბრობდა ჯანმრთელობის პრობლემებსა და რთულ საცხოვრებელ პირობებზე. საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ ფიზიკური პირის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ პერსონალური მონაცემების გამოქვეყნება არ შეესაბამებოდა იმ მიზანს, რასაც „ფეისბუქ“ გვერდის მფლობელი ისახავდა პირადი მიზნით მონაცემთა დამუშავებით, წარმოეჩინა ზოგადი სოციალური პრობლემები.[73] საზედამხედველო ორგანომ დაადგინა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტების დარღვევა.

---

[71] Decision of DPA (Spain), <https://gdprhub.eu/index.php?title=AEPD_(Spain)_-_PS/00214/2022> [30.06.2024].
[72] Decision of DPA (Italy), <https://gdprhub.eu/index.php?title=Garante_per_la_protezione_dei_dati_personali_(Italy)_-_9451734> [30.06.2024].
[73] Decision of DPA (Italy), <https://gdprhub.eu/index.php?title=Garante_per_la_protezione_dei_dati_personali_(Italy)_-_9670001> [30.06.2024].

ნორვეგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკა:

ნორვეგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ, 2019 წელს ნორვეგიის საპენსიო ფონდის სამსახურის მიმართ დაადგინა მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევა და ფონდი დააჯარიმა 99 940 ევროს ოდენობით. საქმის ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის შედეგად, დადგინდა, რომ 2016-2019 წლებში საპენსიო ფონდმა სხვა საჯარო დაწესებულებისგან მიიღო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებთან დაკავშირებული სხვადასხვა ტიპის დიდი მოცულობის პერსონალური მონაცემი, რომელთა უმრავლესობა არ იყო საჭირო საპენსიო ფონდის მიერ მონაცემთა დამუშავების მიზნისთვის (საპენსიო თანხის კორექტირება). საპენსიო ფონდს არ ჰქონდა შემუშავებული მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფდა არასაჭირო მონაცემების მიღების, შენახვის და წაშლის პროცედურას. აღნიშნული დარღვევა, ჩაითვალა მონაცემთა უსაფრთხოების სერიოზულ დარღვევად, რადგან იგი მოიცავდა ფიზიკურ პირთა მოწყვლადი ჯგუფის (შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პენსიის მიმღებთა) პერსონალური მონაცემების გამჟღავნებას. დადგინდა, რომ საპენსიო ფონდმა საერთო ჯამში, დაახლოებით 44 000 ფიზიკური პირის „არასაჭირო“ მონაცემი მიიღო და აქედან დაახლოებით 24 000 ფიზიკური პირი იყო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის პენსიის მიმღები.[74] საზედამხედველო ორგანომ დაადგინა ევროკავშირის მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ და „ე“ ქვეპუნქტების, მე-6 მუხლის პირველი პუნქტის და მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დარღვევა.

მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ საპენსიო ფონდის კიდევ ერთ საქმეში განიხილა შშმ პირთა სამედიცინო ცნობების გამოქვეყნების დაუშვებლობა საპენსიო ანგარიშგებასთან ერთად[75] და მიუთითა, რომ კონკრეტული პირის პენსიის გასაცემად არ იყო საჭირო სამედიცინო ცნობების შინაარსის გამოქვეყნება, რადგან სააგენტო ვერ ასაბუთებდა, თუ რისთვის იყო საჭირო ფინანსური ანგარიშგების საკითხისთვის მონაცემთა სუბიექტის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემის დამატებით დამუშავება. სააგენტოს ჰქონდა წვდომა მონაცემთა ბაზაზე, რომელშიც რეგისტრირებულნი იყვნენ შშმ პირთა პენსიის მიღების მქონე პირები.

---

[74] Decision of DPA (Norway), <https://gdprhub.eu/index.php?title=Datatilsynet_(Norway)_-_20/01893> [30.06.2024].

[75] Decision of DPA (Norway), <https://gdprhub.eu/index.php?title=Datatilsynet_(Norway)_-_20/01865> [30.06.2024].

კიდევ ერთ საქმეში ნორვეგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ დაადგინა, რომ ნორვეგიის სპორტის ფედერაციამ, ოლიმპიურმა და პარაოლიმპიურმა კომიტეტმა დაარღვია მონაცემთა უსაფრთხოება, რის შედეგადაც მოწყვლად მონაცემთა სუბიექტთა განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემები 87 დღის განმავლობაში ხელმისაწვდომი იყო საჯაროდ. მიუხედავად იმისა, რომ ვერ დგინდებოდა დაახლოებით რამდენი ადამიანისთვის გახდა ხელმისაწვდომი აღნიშნული ინფორმაცია, საზედამხედველო ორგანომ მნიშვნელობა მიანიჭა უშუალოდ, მონაცემთა უსაფრთხოების დარღვევის ფაქტს, რადგან იგი ეხებოდა განსაკუთრებით მოწყვლად ჯგუფებს: შშმ პირებს, ბავშვებს და ა.შ.[76]

ნორვეგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ საგამონაკლისო წესში მოიაზრა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის მიერ ვებგვერდის მეშვეობით მონაცემთა დამუშავება, სადაც მომხმარებლები ანონიმურად აფიქსირებდნენ საკუთარი ჯანმრთელობისა და მკურნალობის შესახებ ინფორმაციას. საზედამხედველო ორგანოს აზრით, მონაცემთა სუბიექტები თვითონ აფიქსირებდნენ ინფორმაციას თავიანთ პრობლემებზე და მეორე მხრივ, ვებგვერდის საშუალებით მონაცემთა დამუშავებას ჟურნალისტური მიზანი ჰქონდა.[77]

ნორვეგიის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ ნორვეგიის შრომისა და სოციალური კეთილდღეობის ადმინისტრაცია, როგორც დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი, მიიჩნია ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით“ განსაზღვრული მონაცემთა დამუშავების კონფიდენციალობისა და მინიმიზაციის პრინციპების დამრღვევად, მათ შორის 32-ე მუხლის პირველი პუნქტის გათვალისწინებით, რადგან დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირი მონაცემთა სუბიექტთა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემებს, მათ შორის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებს განუსაზღვრელი ვადით, შესაბამისი ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების გარეშე, აქვეყნებდა საკუთარ ვებგვერდზე.[78]

საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს პრაქტიკა:

---

[76] Decision of DPA (Norway), <https://gdprhub.eu/index.php?title=Datatilsynet_(Norway)_-_20/01626> [30.06.2024].

[77] Decision of DPA (Norway), <https://gdprhub.eu/index.php?title=Datatilsynet_(Norway)_-_15/01355> [30.06.2024].

[78] Decision of DPA (Norway), <https://gdprhub.eu/index.php?title=Datatilsynet_(Norway)_-_23/00708-28> [30.06.2024].

საფრანგეთის ინფორმაციის თავისუფლების ეროვნულმა კომისიამ (“CNIL”) კომპანია “Dedalus Biologie” ჯანმრთელობის შესახებ მონაცემების უსაფრთხოების დარღვევის გამო 1.5 მილიონი ევროს ოდენობით დააჯარიმა. საქმის ფაქტობრივი გარემოებების თანახმად, მასშტაბური მონაცემთა უსაფრთხოების ინციდენტის შესახებ მედიაში ინფორმაცია გავრცელდა. კერძოდ, ინტერნეტში ხელმისაწვდომი გახდა 500 000-მდე ადამიანის პერსონალური მონაცემები — სახელი, სოციალური დაცვის ნომერი, მათი პირადი ექიმის სახელი, ექიმთან კონსულტაციის თარიღი, ჯანმრთელობის სტატუსის შესახებ ინფორმაცია (მათ შორის, აივ-ინფექციის, სიმსივნის, გენეტიკური დაავადების, ორსულობის და გენეტიკური მონაცემები).

ინციდენტთან დაკავშირებით, CNIL-მა ჩაატარა კომპანია “Dedalus Biologie”-ის შემოწმება, რომელიც პროგრამული უზრუნველყოფის სერვისებს სამედიცინო ლაბორატორიებს სთავაზობს. ამავდროულად, საზედამხედველო ორგანომ მიმართა პარიზის სასამართლოს, რომელმაც ინტერნეტში განთავსებულ მონაცემებზე წვდომა შეზღუდა, რამაც შეამცირა პაციენტთათვის ინციდენტის შედეგად მიყენებული ზიანი. “CNIL”-ის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ კომპანიამ არ შეასრულა ევროკავშირის „მონაცემთა დაცვის ძირითადი რეგულაციით“ განსაზღვრული ვალდებულებები და ვერ უზრუნველყო მის ხელთ არსებული მონაცემების უსაფრთხოება. კერძოდ, ორმა ლაბორატორიამ, რომლებიც კომპანიის სერვისებით სარგებლობდნენ, პროგრამული უზრუნველყოფის პაკეტის სხვა ინსტრუმენტში გადატანა მოითხოვეს. გადატანის პროცესში, კომპანიამ ლაბორატორიების მიერ მოთხოვნილზე მეტი რაოდენობის მონაცემები გადაიტანა. შედეგად, მან, როგორც უფლებამოსილმა პირმა, მონაცემები დაამუშავა დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ინსტრუქციების ფარგლებს მიღმა, რითაც “GDPR”-ის 29-ე მუხლის მოთხოვნები დაირღვა. დამატებით, მონაცემთა გადატანის პროცესში, კომპანიას არ ჰქონდა გათვალისწინებული მონაცემთა ტექნიკური და ორგანიზაციული უსაფრთხოების ღონისძიებები: არ იყო დადგენილი მონაცემთა გადატანის, პრობლემურ სერვერებზე შენახული მონაცემების დაშიფვრის და გადატანილი მონაცემების ავტომატური წაშლის პროცედურები; სერვერზე წვდომის მიზნით, ერთი მომხმარებლის ანგარიშს რამდენიმე თანამშრომელი იყენებდა; არ არსებობდა უსაფრთხოების ინციდენტის მონიტორინგის და შეტყობინების პროცედურა. სწორედ აღნიშნული ღონისძიებების არარსებობა გახდა 500 000-მდე პაციენტის ინფორმაციის უკანონოდ გასაჯაროების ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი. კომპანიისთვის ჯარიმის რაოდენობის განსაზღვრისას, საფრანგეთის

საზედამხედველო ორგანომ დარღვევის სიმძიმე და კომპანიის ფინანსური მდგომარეობა გაითვალისწინა.[79]

3.3.ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების საერთაშორისო ინსტიტუციური ტენდენციები და სიახლეები

ევროკავშირის ფარგლებში ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების სივრცის შექმნა

ევროპარლამენტის წევრებმა მხარი დაუჭირეს ევროკავშირის ფარგლებში „ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემთა სივრცის“ (“EU Health Data Space”)[80] შექმნის ინიციატივას. აღნიშნული პლატფორმა დაეხმარება ფიზიკურ პირებს ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის მარტივად მიღებასა და საჯარო ინტერესის გათვალისწინებით, მათ უსაფრთხო გაზიარებაში.

სისტემის მეშვეობით, პაციენტებს შესაძლებლობა ექნებათ, რომ ელექტრონულად ჰქონდეთ წვდომა მათ ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ მონაცემებზე, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ისინი ევროკავშირის წევრ სხვა ქვეყანაში იმყოფებიან. გარდა ამისა, პლატფორმა საშუალებას მისცემს სამედიცინო პერსონალს, პაციენტის თანხმობის შემთხვევაში, დაამუშაოს ბენეფიციარის სამედიცინო ჩანაწერები, რაც მნიშვნელოვნად გაამარტივებს მონაცემების უსაფრთხო გაზიარებას. ინიციატივის ფარგლებში ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერები მოიცავს ზოგად ინფორმაციას პაციენტის ჯანმრთელობის შესახებ, აგრეთვე, ექიმის მიერ გაცემულ დანიშნულებებს, სამედიცინო ხასიათის სურათებს (ექოსკოპია, რენტგენი, ა. შ.) და ლაბორატორიული კვლევის შედეგებს. გარდა ამისა, “EU Health Data Space” გააადვილებს ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის გაზიარებას ევროკავშირის სხვა ქვეყნის სამედიცინო დაწესებულებებთან “MyHealth@EU” სისტემის გამოყენებით.

პლატფორმის მეშვეობით შესაძლებელი იქნება, მონაცემთა სუბიექტთა ანონიმურობის სრული დაცვით, სამეცნიერო და პრაქტიკული კვლევების მიზნებისთვის ჯანმრთელობის შესახებ ჩანაწერების, ასევე, გენეტიკური მონაცემების დამუშავება,

[79] პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური, მსოფლიო პრაქტიკა, აპრილი/2022.
[80] <https://gdprbuzz.com/news/meps-approve-eu-health-data-space/> [30.06.2024].

რაც, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს იშვიათი დაავადებების სამკურნალო საშუალებების შემუშავებას.

აღნიშნული ინიციატივის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია, რომ წევრ სახელმწიფოებს ჰქონდეთ სათანადო ინფრასტრუქტურა ჯანმრთელობის შესახებ ელექტრონული ჩანაწერების გაცვლის მიზნით; ასევე, უზრუნველყოფილ იქნეს პაციენტის მონაცემების დაცვა და კონფიდენციალურობა; ჯანდაცვის სექტორის წარმომადგენელ პირებს გააჩნდეთ საჭირო უნარები და კვალიფიკაცია ახალი მიდგომების გამოსაყენებლად.

აღნიშნული ინიციატივის ფარგლებში კონფიდენციალობის დაცვის სათანადო გარანტიების უზრუნველყოფა უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. მონაცემთა სუბიექტებს შეეძლებათ, უარი განაცხადონ სამედიცინო პერსონალისთვის მათ მონაცემებზე წვდომაზე, გარდა იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე პაციენტის სასიცოცხლო ინტერესებს შეეხება. მონაცემთა სუბიექტები, ასევე, ისარგებლებენ უფლებით, აკრძალონ პერსონალური მონაცემების შემდგომი დამუშავება კვლევითი მიზნებისათვის.

ზემოხსენებული ინიციატივის შესახებ შეთანხმების ევროპული საბჭოს მიერ ოფიციალურად დადასტურების შემდგომ, ინიციატივა ორი წლის შემდეგ განხორციელდება. აღნიშნული თანხვედრაშია ევროკავშირის მოქალაქეთა საჭიროებებთან, რომლებიც ასახულია „ევროპის მომავლის კონფერენციის დასკვნებში“ (“Conference of the Future of Europe”) და გულისხმობს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემთა სივრცის შექმნის, ასევე, ჯანდაცვის მომავლის ფორმირებაში ხელოვნური ინტელექტის მხარდაჭერას.

საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს (“CNIL”) რეკომენდაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების წესების თაობაზე

2024 წლის 13 ივნისს, საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“CNIL”) გამოაქვეყნა რეკომენდაცია,[81] რომელიც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებას შეეხება. დოკუმენტში განხილულია მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს

[81] DataGuidance, France: CNIL provides recommendation on new health data processing procedures, 13 June 2024, <https://www.dataguidance.com/news/france-cnil-provides-recommendation-new-health-data> [17.06.2024].

წინასწარი ინფორმირების საკითხი ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შემთხვევაში. რეკომენდაციის მიზანია, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავებისას, მონაცემთა სუბიექტების უფლებების ჯეროვანი დაცვა.

“CNIL”-მა ყურადღება გაამახვილა პერსონალურ მონაცემთა დაცვის აქტზე, რომლის ითვალისწინებს ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების წესებს. კერძოდ, 65-ე მუხლის თანახმად, ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავებისთვის საზედამხედველო ორგანოსგან წინასწარი ნებართვის მოპოვება არ არის საჭირო, თუ:

- მონაცემთა სუბიექტმა განაცხადა მკაფიო თანხმობა ერთი ან რამდენიმე მიზნით მისი პერსონალური მონაცემის დამუშავების შესახებ;
- მონაცემთა სუბიექტს არ აქვს თანხმობის გაცემის შესაძლებლობა და მონაცემების დამუშავება აუცილებელია მისი ან სხვა ფიზიკური პირის არსებითი ინტერესების დასაცავად;
- მონაცემების დამუშავება აუცილებელია სამედიცინო დიაგნოზის დასმის, მკურნალობისა და ჯანდაცვის მიზნებისთვის.

“CNIL”-მა აღნიშნა, რომ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავების პროცესის არსებითი ცვლილების შემთხვევაში, აუცილებელია ახალი მიდგომის გათვალისწინება. კერძოდ, „არსებით ცვლილებებში“ მოიაზრება მონაცემთა დამუშავების ახალი მიზნის არსებობა ან დამატებით, სხვა განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დამუშავება, რაც გამოქვეყნებული დოკუმენტის თანახმად, საჭიროებს მონაცემთა სუბიექტისგან ახალი თანხმობის მოპოვებას და პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოსგან ნებართვის მიღებას. იმ შემთხვევაში, თუ მონაცემების დამუშავება ხორციელდება “CNIL”-ის ნებართვის შემდგომ და მიმდინარე მონაცემთა დამუშავების პროცესი სცდება დამუშავების ფარგლებს, აუცილებელია ავტორიზაციის ხელახალი მოპოვება.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების კონტექსტში არსებით ცვლილებებად მოიაზრება:

- დამუშავებისთვის პასუხისმგებელი პირის ვინაობის შეცვლა ან თანადამუშავებაზე პასუხისმგებელი პირის დამატება;
- ჯანმრთელობის შესახებ მონაცემთა მიმღებ ახალ პირთა არსებობა;
- დამუშავების ახალი მიზანი;
- ახალი კატეგორიის სენსიტიური მონაცემების დამუშავება;

- მონაცემთა დამუშავება ახალი წყაროდან;
- ახალი მონაცემების დაკავშირება მონაცემთა წყაროსთან;
- დაინტერესებულ პირთა ოდენობის არსებითი ზრდა;
- თავდაპირველ მიზანთან მიმართებით მონაცემთა სუბიექტების უფლებების შეზღუდვა;
- მონაცემთა დამუშავებისა და შენახვის ვადების არსებითი გახანგრძლივება;
- ტექნიკური და ორგანიზაციული ზომების მოდიფიკაცია, რომლებიც ასუსტებს მონაცემთა უსაფრთხოებას.

საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს (“CNIL”) რეკომენდაცია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ეროვნული სისტემის (“National Health Data System”) შესახებ

2024 წლის 24 ივნისს, საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“CNIL”) ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ეროვნული სისტემის (“SNDS”) შესახებ რეკომენდაციები[82] გამოსცა. აღნიშნული დოკუმენტი 2020 წელს გამოქვეყნებულ სახელმძღვანელოს ეფუძნება, რომელიც მონაცემების ეროვნულ სისტემასა (“SNDS”) და საჯარო თუ კერძო სამედიცინო დაწესებულებებში რეგისტრაციას შეეხება.

ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების ეროვნული სისტემა (“SNDS”) წარმოადგენს ე.წ. „მონაცემთა ბაზას“, სადაც ფიზიკური პირების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციაა თავმოყრილი. სისტემის მიზანია დაეხმაროს მკვლევრებსა და სამედიცინო სფეროში ჩართულ პირებს ჯანმრთელობის ტენდენციების შესწავლასა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის გაუმჯობესებაში.

რეკომენდაციებში ხაზგასმულია, რომ წერილებზე, დოკუმენტებზე, ნიმუშებსა და სამედიცინო ანგარიშებზე აღნიშნული ნომერი (“NIR”)[83] წარმოადგენს საჯარო იდენტიფიკატორს. თითოეული კომუნიკაცია უნდა იყოს უსაფრთხო, თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი ავთენტიფიკაციის ზომებისა და დაშიფვრის მეთოდების გამოყენებით.

---

[82] France: CNIL publishes recommendation on National Health Data System registry, <https://www.dataguidance.com/news/france-cnil-publishes-recommendation-national-health> [29.06.2024].

[83] სარეგისტრაციო ნომერი (“NIR”) წარმოადგენს უნიკალურ იდენტიფიკატორს, რომელიც ენიჭება ფიზიკურ პირებს ადმინისტრაციული მიზნებისთვის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კონტექსტში. იგი გამოიყენება სხვადასხვა დოკუმენტებსა და ჩანაწერებში ფიზიკური პირების იდენტიფიცირებისთვის.

საფრანგეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ აღნიშნა, რომ სარეგისტრაციო ნომერი (“NIR”) მხოლოდ ერთ ადგილას (“single source location”) ან პასუხისმგებელ მესამე პირთან უნდა ინახებოდეს დაშიფრული სახით, ხოლო ინფორმაციის გადაცემისას ჯანმრთელობის მონაცემებისგან განცალკევდეს. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ მესამე პირებს ცენტრების მიერ შენახულ მონაცემებზე, მათ შორის, ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ სხვა პერსონალურ ინფორმაციაზე, წვდომა არ გააჩნდეთ. გამოქვეყნებული რეკომენდაცია ხაზს უსვამს განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემთა კანონიერად დამუშავების, სარეგისტრაციო ნომრების უსაფრთხოდ განთავსებისა დაშიფვრის მნიშვნელობას. სახელმძღვანელოში აღწერილი ზომები კი ხელს შეუწყობს მონაცემთა უსაფრთხოების გაძლიერებასა და პირთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის დაცვას.

„გერმანიის მონაცემთა დაცვის დამოუკიდებელ ორგანოთა კონფერენციის“ (“DSK”) რეზოლუცია პაციენტის მონაცემთა დაცვის შესახებ

2024 წლის 15 მაისს, გერმანიის მონაცემთა დაცვის კონფერენციამ (“DSK”) გამოაქვეყნა რეზოლუცია, რომელიც პაციენტების მონაცემთა დაცვის გარანტიებს შეეხება.[84] კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სამედიცინო დაწესებულების ფუნქციონირების შეწყვეტისას დამუშავებული მონაცემების შენახვისა და წაშლის წესების არარსებობა წარმოადგენს ერთგვარ გამოწვევას.

საკითხის გადასაწყვეტად, გერმანიის მონაცემთა დაცვის კონფერენციაზე განხილულ იქნა რამდენიმე რეკომენდაცია:

ჩრდილოეთ რაინ-ვესტფალიასა და ჰესენში არსებული რეგულაციების თანახმად, საავადმყოფოებმა უნდა შეიმუშაონ სამოქმედო გეგმა იმ შემთხვევებისთვის, თუ ისინი გადახდისუუნარობის ან მოულოდნელი ლიკვიდაციის საშიშროების წინაშე აღმოჩნდებიან და წარუდგინონ აღნიშნული დოკუმენტი უფლებამოსილ საზედამხედველო ორგანოს;

სახელმწიფომ, საჭიროების შემთხვევაში, უნდა მოიძიოს დაფინანსების სხვადასხვა შესაძლებლობა, რათა უზრუნველყოფილი იყოს გადაუდებელ სიტუაციებში პაციენტის პერსონალური მონაცემის შენახვა, ხოლო სარეზერვო ასლების

[84] “DSK” წარმოადგენს გერმანიის ფედერალურ მიწათა დამოუკიდებელი პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოების ყოველწლიურ კონფერენციას, <https://www.dataguidance.com/news/germany-dsk-publishes-resolution-patient-data> [28.05.2024].

უზრუნველსაყოფად დაფინანსება გაგრძელდეს გარდამავალი პერიოდის განმავლობაში;

დღესდღეობით სამედიცინო დაწესებულების ლიკვიდაციის შემთხვევაში, პერსონალურ მონაცემთა შენახვის, წაშლისა და გადაცემის საკითხები კანონმდებლობით ზუსტად არ არის მოწესრიგებული. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ საავადმყოფოს მენეჯმენტმა შეიმუშაოს და უზრუნველყოს მონაცემთა სუბიექტების სამედიცინო ჩანაწერების მოკლევადიანი უსაფრთხო შენახვის მექანიზმები.

ჯანდაცვის მინისტრთა კონფერენცია აღნიშნულ საკითხს მომავალ შეხვედრაზე განიხილავს და შესაბამის გადაწყვეტილებას მიიღებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს ჯანდაცვის სფეროში მონაცემთა სუბიექტების განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემების დაცვის სათანადო გარანტიები.

გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს (“ICO”) სახელმძღვანელო პრინციპები ჯანდაცვის სფეროში პერსონალური მონაცემების დამუშავებისას გამჭვირვალობის უზრუნველყოფის თაობაზე

2024 წლის 15 აპრილს, გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“ICO”) ჯანდაცვის სექტორში პერსონალურ მონაცემთა დამუშავების შესახებ სახელმძღვანელო გამოაქვეყნა, რომლის ძირითადი მიზანი გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა. იგი განკუთვნილია იმ ორგანიზაციებისთვის, რომლებიც ჯანდაცვის სფეროში პერსონალურ მონაცემებს ამუშავებენ. სახელმძღვანელო შედგება შემდეგი ძირითადი თავებისგან: გამჭვირვალობის მნიშვნელობა; გამჭვირვალობის უზრუნველყოფა; გამჭვირვალობისა და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის თაობაზე ინფორმაციის მიწოდება; გამჭვირვალობის შეფასება.

სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ ჯანდაცვის სექტორში მუდმივად მუშავდება ფიზიკური პირის ჯანმრთელობასა და მის პირად ცხოვრებასთან დაკავშირებული მონაცემები. აღნიშნული ინფორმაცია ჯანდაცვის მომსახურების მიღების მიზნით, მონაცემთა სუბიექტის მიერ გაიცემა. გასათვალისწინებელია, რომ ამგვარი ინფორმაცია წარმოადგენს განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს, რომელიც თავისი ბუნებით არის სენსიტიური ხასიათის და საჭიროებს გაძლიერებულ დაცვას.

გაერთიანებული სამეფოს კანონმდებლობის თანახმად, გამჭვირვალობა ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს. ამასთან, აღიარებულია განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალური მონაცემების დაცვის მნიშვნელობა. სახელმძღვანელოზე დაყრდნობით, ამგვარი მონაცემების დასაცავად აუცილებელია დამატებითი საზედამხედველო მექანიზმის შემუშავება, რათა მონაცემთა სუბიექტს ჰქონდეს ნდობა ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლის მიმართ საკუთარი პერსონალური მონაცემების გაზიარებისას.

სახელმძღვანელოში განხილულია პოტენციური საფრთხეები ინდივიდთა მონაცემების დამუშავების პროცესში. კერძოდ, არსებობს მონაცემთა სუბიექტების მიმართ ფიზიკური, მატერიალური და არამატერიალური ზიანის მიდგომის რისკი. ამდენად აუცილებელია, მონაცემთა სუბიექტებს მიეწოდოთ დეტალური ინფორმაცია მათი პერსონალური მონაცემების გამოყენების ფარგლებთან დაკავშირებით, მათ შორის, პირადი ინფორმაციის დამუშავების მიზნის შესახებ.

სახელმძღვანელოში, ასევე, წარმოდგენილია პრაქტიკული მაგალითები და ჯანდაცვის სექტორში პერსონალური მონაცემების დამუშავებისას გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად გასათვალისწინებელი პუნქტები (“Checklist”).

გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოს (“ICO”) სახელმძღვანელო რეკომენდაცია დასაქმებული პირების ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ

2023 წლის 31 აგვისტოს, გაერთიანებული სამეფოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანომ (“ICO”) სახელმძღვანელო რეკომენდაცია გამოაქვეყნა, რომელიც დასაქმებული პირების ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური მონაცემების დამუშავებას შეეხება.

დოკუმენტის მიზანია დასაქმებულ პირთა ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემის დამუშავებისას დამსაქმებლების დახმარება, რათა გაიაზრონ მონაცემთა დაცვასთან დაკავშირებული ვალდებულებები “UK GDPR”-ის და „მონაცემთა დაცვის აქტის“ (“DPA 2018”) შესაბამისად. ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე დასაქმებულების პერსონალური მონაცემის დამუშავების სენსიტიურობიდან გამომდინარე, “ICO”-მ მიზანშეწონილად მიიჩნია აღნიშნული მიმართულებით შესაბამისი განმარტებების გაკეთება. სახელმძღვანელო შედგება ორი ძირითადი ნაწილისგან. პირველი ნაწილი მოიცავს მიმოხილვას დასაქმებული პირების ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის დამუშავებისას მონაცემთა დაცვის

კანონმდებლობის გამოყენების თაობაზე. აღნიშნულის ფარგლებში ყურადღება გამახვილებულია მონაცემთა დაცვის პრინციპებსა და საფუძვლებზე. მეორე ნაწილში განხილულია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების შესახებ ზოგადი პრაქტიკა. ამ თვალსაზრისით, წარმოდგენილია კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნები, ასევე, პრაქტიკული რჩევები. ამასთანავე, დოკუმენტში წარმოდგენილია დამსაქმებლების მიერ გასათვალისწინებელი პუნქტები (“Checklists”), რათა ჯეროვნად იქნას დასაქმებულის პერსონალური მონაცემები დაცული. “UK GDPR”-ით მოწესრიგებულია პერსონალური ინფორმაციის შეგროვებასა და გამოყენებასთან დაკავშირებული პრინციპები, მათ შორის, ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. “UK GDPR”-ის მე-4 მუხლის მიხედვით, პერსონალური მონაცემები განიმარტება როგორც ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება ინდივიდის ფიზიკურ ან მენტალურ ჯანმრთელობას, აგრეთვე, ჯანდაცვის მომსახურებას, რომლის მეშვეობით იდენტიფიცირებადია პირის ჯანმრთელობის სტატუსი. საზედამხედველო ორგანოს აღნიშვნით, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის კანონიერი დამუშავების მიზნით, “UK GDPR”-ის მე-6 მუხლის შესაბამისად უნდა განისაზღვროს დამუშავების საფუძველი. ვინაიდან ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია არის განსაკუთრებული კატეგორიის მონაცემი, იგი საჭიროებს ეფექტიან დაცვას. “ICO”-ს მიერ შემუშავებულ

სახელმძღვანელოში წარმოდგენილია სხვადასხვა გარემოება, როდესაც დამსაქმებელი ამუშავებს დასაქმებულის ჯანმრთელობის თაობაზე პერსონალურ მონაცემს; აღნიშნული შეიძლება უკავშირდებოდეს: ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების ხაზგასასმელად კითხვარის შევსებას; ავადმყოფობის არარსებობის თაობაზე ფორმის წარდგენას; შეზღუდული ქმედუნარიანობის ან შრომისუუნარობის შესახებ ინფორმაციას; დასაქმებულის მხედველობის ტესტის შედეგებს; ალკოჰოლისა და ნარკოტიკული საშუალებების მოხმარების დასადგენად ტესტის შედეგებს; ვაქცინაციისა და იმუნიზაციის სტატუსისა და ისტორიის შესახებ ჩანაწერებს; სამუშაოსთვის შესაფერის ფიზიკურ ფორმაში ყოფნის შედეგებს. სახელმძღვანელოში დასაქმებულების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის დამუშავების კანონიერ საფუძვლებზეც არის ყურადღება გამახვილებული. უნდა არსებობდეს მინიმუმ ერთი საფუძველი, რათა დამუშავდეს ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია. ამასთანავე, არცერთი საფუძველი არის უპირატესი, უსაფრთხო ან უფრო მნიშვნელოვანი. საფუძვლის განსაზღვრა დამოკიდებულია კონკრეტულ მიზანზე და დასაქმებულების ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაციის დამუშავების კონტექსტზე. “ICO” რჩევით მიმართავს დამსაქმებლებს, რომ მათი დასაქმებული პირების ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავებამდე განსაზღვრონ

კანონიერი საფუძველი. დამსაქმებელმა დასაქმებული პირის ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური ინფორმაციის დამუშავებამდე უნდა გაითვალისწინოს შემდეგი ფაქტორები:

- წინასწარ განსაზღვრული მიზნის მისაღწევად აუცილებელია ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება. არ არსებობს მიზნის მისაღწევად სხვა ნაკლებად „ინვაზიური“ საშუალება;
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული ინფორმაციის დასამუშავებლად არსებობს შესაბამისი კანონიერი საფუძვლები;
- თუ ვერ დადასტურდება, რომ დასაქმებული პირის თანხმობა მისი პერსონალური მონაცემების დასამუშავებლად არ არის ნამდვილი და თავისუფალი ნებით გაცემული, არ უნდა დამუშავდეს ინფორმაცია;
- აღრიცხულია თუ რა მონაცემები უნდა დამუშავდეს კონკრეტულ შემთხვევაში;
- ჯანმრთელობის შესახებ პერსონალური მონაცემების შეგროვება და გამოყენება არის ადეკვატური, შესაბამისი და აუცილებელი;
- არ შეიცავს იმაზე მეტ ინფორმაციას, ვიდრე საჭიროა მიზნის მისაღწევად;
- წინასწარ შემუშავებულია პერსონალური მონაცემების შენახვის პოლიტიკა და ვადა;
- ინფორმაცია ინახება ზუსტი ფორმით და საჭიროების შემთხვევაში ხდება მისი განახლება;
- ჯანმრთელობასთან დაკავშირებული მონაცემების დასაცავად მიღებულია უსაფრთხოების შესაბამისი ზომები.

დასკვნა

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა პერსონალური მონაცემების დამუშავება როგორც ეროვნული, ისე საზღვარგარეთის პერსონალურ მონაცემთა დაცვის საზედამხედველო ორგანოებისთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვან, აქტუალურ და საყურადღებო საკითხს წარმოადგენს. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის შესახებ ინფორმაცია ხშირად მოიაზრება ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ პერსონალურ მონაცემად, რაც განსაკუთრებული კატეგორიის პერსონალურ მონაცემს მიეკუთვნება. თუმცა, საგულისხმოა, რომ შშმ პირის სტატუსთან დაკავშირებული სხვა ტიპის პერსონალური მონაცემის უკანონო დამუშავებაც გახდეს საზედამხედველო ორგანოს განხილვის საგანი. კვლევაში ყურადღება გამახვილდა კონკრეტულად, ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პერსონალური მონაცემების დამუშავების სამართლებრივ თავისებურებებზე.

აღსანიშნავია, რომ საკითხის საერთაშორისო და ეროვნული სამართლებრივი ტენდენციები უკავშირდება შშმ პირის სტატუსის, უფლებებისა და მათი დაცვის საშუალებების მოწესრიგებას იმდენად, რამდენადაც მონაცემთა დაცვა მეტად სახასიათო მნიშვნელობას იძენს. ერთი მხრივ, მონაცემთა სუბიექტების განსაკუთრებული საჭიროებებიდან გამომდინარე, ხოლო მეორე მხრივ, თანამედროვე ტექნოლოგიური პროგრესის განვითარების კვალდაკვალ აქტიურდება მონაცემთა დამუშავების საკანონმდებლო სტანდარტებსა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკასთან ჰარმონიზაციის პროცესი.

აღსანიშნავია, რომ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახური შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის სამოქმედო გეგმით ყოველწლიურად განსაზღვრავს შშმ პირების მიმართ განსახორციელებელ რიგ აქტივობებს. აღნიშნული ითვალისწინებს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის მიერ შშმ პირებთან დაკავშირებული პრაქტიკის განზოგადებასა და შესაბამისი სარეკომენდაციო დოკუმენტის შემუშავებას, მათი პერსონალური მონაცემების დაცვის საკითხებზე საზოგადოების ცნობიერების გაზრდას.

შშმ პირები, როგორც მონაცემთა სუბიექტები, არაერთ სირთულეს აწყდებიან მათი პერსონალური მონაცემების დაცვის უფლების განხორციელებისას. შესაბამისად, არსებულ გამოწვევათა საპასუხოდ აუცილებელია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მიერ პერსონალურ მონაცემთა დაცვის სტანდარტების შემუშავება, ეროვნული და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოს, საუკეთესო პრაქტიკის და სახელმძღვანელო რეკომენდაციების გათვალისწინებით.

პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის პრაქტიკა შშმ პირთა მონაცემთა დამუშავების კანონიერების შესახებ ადასტურებს, რომ აუცილებელია მონაცემთა დამუშავებისას შშმ პირების ინფორმირება მათი მონაცემების დამუშავების პროცესისა და უფლებების შესახებ. ასევე, შშმ პირების პერსონალური მონაცემების დამუშავების პროცესში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დამუშავებისთვის პასუხისმგებელი და დამუშავებაზე უფლებამოსილი პირების მიერ კანონის მოთხოვნათა სათანადო დაცვა და შშმ პირთა სპეციალური საჭიროებების, მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინება.

ნატო ვაჩნაძის ქუჩა N° 7, თბილისი

ბაქოს ქუჩა N° 48, ბათუმი

(+995 32) 242 1000

office@pdps.ge